ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 29 აგვისტო, 2022 | №169 (8947) | ფასი: 80 თეთრი

## „შემაშფოთებელია ნამდვილად" — მეუფე ნიკოლოზმა მიხეილ სააკაშვილი ორი დღის წინ აზიარა

გვ.2



მეუფე ნიკოლოზი: „მიხეილ სააკაშვილს 13 კილოგრამი აქვს დაკლებული საავადმყოფოში ყოფნის პერიოდში"

# „ნიკა მელია ამომრჩეველს გაემიჯნოს... ლიდერი არ არის!"



თაკო ჩარკვიანი: „დღევანდელი ოპოზიცია ბიძინა ივანიშვილის საუკეთესო სიზმარია"



გვ.2

## დათო ლორთქიფანიძე: „ოთხი დეპუტატის წერილებით ამერიკასთან ურთიერთობა არ დაზიანდება"

გვ.4



## უკრაინამ შეიძლება რუსეთს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზეც დაარტყას, ოღონდ, არა ამერიკული იარაღით

გვ.3



უკრაინელი ექსპერტი: „უკრაინას აქვს კანონიერი უფლება, მიაყენოს დარტყმები რუსეთის სამხედრო სამიზნეებს"

## ფონ დერ ლაიენი: „თუ რუსეთი ბრძოლას შეწყვეტს, ომი აღარ იქნება, თუ უკრაინა შეწყვეტს — აღარ იარსებებს"

გვ.2



## ქალი, რომელსაც რუსეთი დარია დუგინას მკვლელად ასახელებდა, მოკლული იპოვეს

გვ.6



## როდის დაბრუნდა ალა პუგაჩოვა მოსკოვში

გვ.6

## ევროკავშირი მიმდინარე კვირაში რუსეთთან სავიზო შეთანხმების შეჩერებას აპირებს



გვ.2

## მეუფე იაკობი: „ვიცი, ვინც მისმენდა, ისიც ვიცი, ზოგი ცოცხალი აღარ არის"



გვ.4

## ბჟანიას განცხადებამ, ოკუპირებული აფხაზეთის შესვლაზე რუსეთ-ბელარუსის კავშირში, აფხაზების უკმაყოფილება გამოიწვია

იურისტი საიდ გერზედავა: „ეს ნიშნავს სერიოზულ ცვლილებებს აფხაზეთის სუვერენიტეტში"

3 თბილისის რამდენიმე უბანს წყალი 34 საათით შეუწყდება

5 პატიმარი გაიქცა თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორიდან

4 საქართველოში ზეთის იმპორტი განახევრდა

5 პოლონეთში 35 წლის ქართველი გარდაცვლილი იპოვეს

# „ნიკა მელია ამომრჩეველს გაემიჯნოს... ლიდერი არ არის!“

## თაკო ჩარკვიანი: „დღევანდელი ოპოზიცია ბიძინა ივანიშვილის საუკეთესო სიზმარია“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს თაკო ჩარკვიანი პასუხობს.**



***– ქალბატონო თაკო, გასული კვირის ბოლოს განაცხადეთ, რომ ნიკა მელია უნდა გავმიჯნო ამომრჩევლისგანო. თქვენს ამ განცხადებას ბევრი არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა. რას გულისხმობდით და რა პროცესები მიმდინარეობს ოპოზიციაში?***

– შეფასებებს მეც გავეცანი და ამომრჩეველს ძალიან სწორი რეაქცია ჰქონდა. მე ვთქვი, რომ ჩემი სურვილია, ნიკა მელია ამომრჩეველს გაემიჯნოს.

***– რატომ, რა ხდება? აჭარის ინციდენტს გულისხმობთ მხოლოდ თუ სხვაც არის რამე?***

– როცა შენ, ამხელა პარტიის ლიდერი, ამომრჩეველს ემიჯნები, ეს პროცესისთვის არის ძალიან ცუდი. ეს ხომ არ იყო მარტო ის ქალბატონი, პლაკატი რომ დაუხიეს. სისტემატიურად ხდება ეს. ადრეც გვინახავს ასეთი შემთხვევები. ახლა მეუბნებიან, რომ ეს ქალბატონი პროვოკატორია. არ მაინტერესებს ესე „შემკობა“ ამომრჩევლის. უკრაინის მხარდასაჭერ აქციაზე, უკრაინის მოქალაქის, ვგულისხმობ სააკაშვილს, რომელსაც ამხელა შრომა და წვლილი აქვს ჩადებული უკრაინაში და როგორ პატივს სცემენ უკრაინელები. ასეთ აქციაზე რომ არ ყოფილიყო იქ მიხეილ სააკაშვილის პლაკატი, ის უნდა გაგვკვირვებოდა.

***– უხერხული სიტუაცია შექმნაო.***

– არაფერი უხერხული სიტუაცია არ ყოფილა. ამ ქალბატონმა ტელევიზია რომ დაინახა, მოუნდა დაეფიქსირებინა მისი აზრიც. უნდოდა ეჩვენებინა ყველასთვის, რომ აქ ვართ მიშას მხარდამჭერებიც. იმიტომ, რომ არსად არასდროს არ აჩენენ. ეს ქალი პირველი შემთხვევა არ არის. მუდამ ასე ხდება, აქ ნუ გაჟღერდება მიშას სახელი, არ გაშალოთ მისი პლაკატი. რას ნიშნავს ეს ყველაფერი?! ვისგან აიღოს ნებართვა მსხვილი ოპოზიციური პარტიის ამომრჩეველმა?! სად რა გაჟღერდება და პლაკატს სად დადებს, ეს „ოლიგარქიული ზამაშკები“ და ამპარტავნულად საუბარი ამომრჩეველთან, ყველამ სახლებში დატოვოს! მე პირადად, ოპოზიციაში ვარ იმიტომ, არ მომწონს სწორედ ეს „ფეოდალური ზამაშკები“! არ მომწონს ეს ამპარტავნული დამოკიდებულება! რას ჰგავდა დაცვის საქციელი?!

***– მამუკა ხაზარაძის მეუღლეს დაბრალდა პლაკატის დახევა.***

– მე მამუკას მეუღლეზე არაფერს არ ვამბობ. მე ეს კადრები, რომ პლაკატი მან დახია, არ მინახავს. მინდა, რომ ეს საკითხი ძალიან ობიექტურად გავიარო. პირადად მე ვერ ვნახე ეს კადრები. შეიძლება ასეც იყო, ვერ გეტყვით, მაგრამ რაც ვნახე, ისიც საკმარისია! არ მოგეწონა რაღაც, ვიღაც მოიქცა უხეშად, მეც ბევრი რამ არ მომწონებია, მაგრამ მშვიდად შეეძლოთ ეთქვათ, რომ აჩვენეთ, ქალბატონო, თქვენი პლაკატი და შემდეგ მე მივცემ ინტერვიუს.

***– ამ შემთხვევაში ნიკა მელიამ ხაზარაძის მხარე დაიჭირა?***

– აბა რა ქნა. გამოვარდა იქიდან და ჩვენს კოლეგას ვინც შეეხებაო. შენი კოლეგა და პარტნიორი არის საქართველოს თითოეული მოქალაქე და ამომრჩეველი! რას ქვია კოლეგა?! როცა ანაკლიის თემა იყო, მე ძალიან მაგრად დავუჭირე მამუკას მხარი. იმიტომ, რომ სწორია იმ თემაში. აქ არ მომეწონა და პირდაპირ ვთქვი. ხალხს თუ დაანახებ ასეთ პროცესს, იქ ყველაფერი დამთავრებულია.

***– ისედაც იმედგაცრუებულია ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი ამ პროცესებით და ამით კიდევ უფრო მეტად ხომ არ უწყობენ ხელს, რომ დაიშალონ და დაიქსაქსონ?***

– მეც სწორედ ეგ ვთქვი, რომ ამომრჩეველი გაღიზიანდება და უთუოდ გაემიჯნება. კარგსაც იზამენ! ნაციონალური მოძრაობა არ არის ამჟამინდელი მისი თავმჯდომარე.

***– ბოლოს და ბოლოს, რა უნდა ნიკა მელიას?***

– არ ვიცი, ვერ გეტყვით, ვერ გამოვიცანი. შესაძლოა გამოვიცანი კიდეც, მაგრამ ახლა ამაზე არ მინდა საუბარი. მე ვსაუბრობ ფაქტებით. შეიძლება კარგი ბიჭია, მაგრამ ლიდერი ვერ არის! ეს დაამტკიცა პროცესებმა.

***– როდესაც ცხელ შემოდგომას აანონსებს ოპოზიცია, საუბრობს სამომავლო გეგმებზე. ასეთ დროს ასე ცალ-ცალკე ყოფნა, არ არის ერთსულოვნება ოპოზიციაში. აქედან გამოვა რამე?***

– მოგისმენიათ რაიმე გეგმა? მერწმუნეთ, რომ არანაირი გეგმა ჯერ არ დევს. დაფიქრება მართებს თითოეულ ლიდერს, არ შეიძლება ასე გული მოუკლა ამომრჩეველს. რას ნიშნავს პოლიტპატიმრის ხსენება არ შეიძლება აქციაზე?! მით უმეტეს, იმ 12-პუნქტიან გეგმაში ამ პოლიტპატიმრის გვარი წერია! ვინ არის ის, ვინც ამ დღის წესრიგს ადგენს?! არ მომწონს მე ეს ამბავი. პოლიტიკაშიც ვარ სწორედ მაგიტომ. კეთილი ვინებოთ და მივიღოთ შენიშვნები. მეც მივიღებ, როცა საჭირო იქნება.

***– ქალბატონო თაკო, ვისმენთ შეფასებებს, რომ ოპოზიცია დღეს რომ არის, ასეთი სუსტი და დაქსაქსული არასდროს ყოფილა. ვერ შეძლებენ, რომ პრობლემები შეუქმნან „ქართულ ოცნებასო“.***

– მე ასე დავარქვი, ბიძინა ივანიშვილის საუკეთესო სიზმარია დღევანდელი ოპოზიცია.

***– ასეთი ოპოზიცია შეძლებს, რომ ბიძინა ივანიშვილს პრობლემები შეუქმნას?***

– ხალხი შეძლებს ამას. ოპოზიციამ არ უნდა შეუშალოს ხელი და გაუწიოს სწორი ორგანიზება. ამას შეძლებს ხალხი და შემდეგ უკვე არჩევნებისთვის გამოარჩევს და შექმნის ნორმალურ კოალიციურ მთავრობას. აი ამ ნაკადიდან, რასაც მე ვუყურებ, ვიღაც ერთს ხელში არ უნდა ჩაუვარდეს ძალაუფლება. საერთოდაც, ძალაუფლება კოალიციური ჯობია საქართველოში. საქართველოში კოალიციური მთავრობა იქნება ძალიან საინტერესო რამ. ახლა რომ მითხრათ, აიღეთ და რომელიმე ოპოზიციას ძალაუფლება სრულად ჩააბარე, გეტყვით, არა, სრულად ვერც ერთ პარტიას ვერ ჩავაბარებ!

***– თუ გაქვთ სამოქმედო გეგმა პარტნიორებთან ერთად? აცხადებთ, რომ ხალხი შეუქმნის პრობლემას ხელისუფლებასო. ამ პროცესებს ორგანიზება სჭირდება, ეს ხალხი ვიღაცამ ხომ უნდა გამოიყვანოს ქუჩაში?***

– ეგეც იქნება. მიდის აქეთკენ ყველაფერი და აუცილებლად იქნება, მერწმუნეთ.

***– თქვენც პირდებით ივანიშვილს, რომ ექნება ცხელი პოლიტიკური შემოდგომა?***

– კი, აუცილებლად ასე იქნება!

***– 12 პუნქტზე მიდის მუშაობაო, თუმცა არაფერს მუშაობენ. ცალკეა ოპოზიცია, ცალკე ხელისუფლება. ეს ხომ დააზარალებს პროცესს?***

– მე რომ ვნახე სამუშაო ჯგუფები, მიუხედავად ჩემი სკეპტიკური დამოკიდებულებისა, მაინც ვთვლი, რომ ოპოზიციამ მაგიდა არ უნდა ააყირავოს. იმიტომ რომ, შენი ქვეყნისთვის ვერდიქტი რომ გამოაქვთ, რა ვერდიქტი გამოაქვთ, ეს შენ წინასწარ უნდა იცოდე და ჩახედული უნდა იყო ამ ყველაფერში!

***– შიგნით უნდა ყოფილიყო ოპოზიცია ამ პროცესში?***

– აბა რა, რა თქმა უნდა! ამაში ორი აზრი არაა. მეც ეგრე ვფიქრობ და თამარ კორძაიაც. ვხედავ კიდეც, თამუნა რომ ჯგუფებში ზის და ეს მე სრულებით არ მაღიზიანებს, პირიქით. ვიმეორებ, კოლაბორაციონისტი ხელისუფლება რა გადაწყვეტილებას იღებს, მე დეკემბერში კი არ მინდა გავიგო, მანამდე უნდა ვიცოდე. ბოიკოტი თუ უნდოდათ, მანამდე დაეჭირათ, რომ შეხტნენ და შევარდნენ პარლამენტში. ინფანტილურები არ უნდა გავხდეთ. გამოსვლის პრობლემაც რომ არა მაქვს მე პირადად, ყველამ კარგად იცის, მაგრამ ახლა, ამ წამს, შიგნით ყოფნა უფრო საჭიროა.

***– ქალბატონო თაკო, ამ ოთხეულის ხელით ბიძინა ივანიშვილი აქტიურად ლანძღავს დასავლეთს, ამერიკის ელჩს, რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი?***

– ეს მიზანმიმართული გეგმაა. ეს არის რუსული გეგმაა. ესენი რუსეთზე მომუშავენი არიან. ძალიან საშიში პროცესია. ამიტომ ძალიან დიდი ბრძოლა გველოდება წინ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არ დავაკარგვინოთ და პირდაპირ რუსულ სივრცეში არ ამოგვაყოფინონ თავი.

***– ეს პროცესები, რომელსაც საშემოდგომოდ აანონსებთ, მიგვიყვანს ვადამდელ არჩევნებამდე?***

– უნდა მიგვიყვანოს. სხვა გზა არ არის! სისტემა თუ არ შეიცვალა, ისე არაფერი არ შეიცვლება.

## 10-დღიანი სამუშაოების შემდეგ, ბორჯომის ტყეში ხანძარი ლიკვიდირებულია

10-დღიანი ინტენსიური სამუშაოების შემდეგ, ბორჯომისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში ხანძარი თითქმის მთლიანად ლიკვიდირებულია, თუმცა ხეობაში ამ დრომდე ძლიერი დაკვამლიანებაა. ადგილზე კვლავ მუშაობს ავიაცია და რჩებიან მეხანძრე-მაშველები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ცეცხლის დასახლებულ პუნქტზე გავრცელების საფრთხე აღარ არსებობს. სიტუაციის კონტროლისთვის სტიქიის ზონაში მონიტორინგის მიზნით რამდენიმე კვირის განმავლობაში დარჩებიან შესაბამისი სამსახურები.



– აქტიურად მიმდინარეობს ხანძრის ქრობითი სამუშაოები ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მეხანძრე მაშველების მიერ ყველა აქტიური კერის ლიკვიდაცია განხორციელდა. ამ ეტაპზე არსებობს რამდენიმე აქტიური კერა, რომლებთანაც მისასვლელი გზა გაჭრილია სპეც. ტექნიკით. მეხანძრე მაშველებს შეყვანილი ჰყავთ სპეციალური სახანძრო ტექნიკა, რის საშუალებითაც მიმდინარეობს ხანძრის კერების ლოკალიზაცია და ლიკვიდაცია. ისეთ ადგილებზე, სადაც რთული რელიეფია და არის მცირე ზომის ხანძრის კერები, მიმდინარეობს ავიაციით დამუშავება, – თქვა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსმა, ლევან მუსელიანმა.

## „შემაშფოთებელია ნამდვილად“ – მეუფე ნიკოლოზმა მიხეილ სააკაშვილი ორი დღის წინ აზიარა



### მეუფე ნიკოლოზი: „მიხეილ სააკაშვილს 13 კილოგრამი აქვს დაკლებული საავადმყოფოში ყოფნის პერიოდში“

„მიხეილ სააკაშვილი ორი დღის წინ ვინახულე და ვაზიარე. არ გასულა დიდი ხანი, რაც ვნახე და იმის შემდეგ, კიდევ 2 კილოგრამი აქვს დაკლებული, რაც, ვფიქრობ, სავალალოა, – ამის შესახებ ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტმა, მეუფე ნიკოლოზმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

– 13 კილოგრამი აქვს დაკლებული საავადმყოფოში ყოფნის პერიოდში, რაც შემაშფოთებელია ნამდვილად.

თუ მისი ფიზიკური განკურნება მოხდება ქვეყნის შიგნით, ჩვენი სამედიცინო პერსონალის მიერ, ძალიან კარგი, თუ ვერ მოხერხდება, ამ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა მოხდეს მისი გადაყვანა საზღვარგარეთ, – აღნიშნა მეუფე ნიკოლოზმა.

## ფონ დერ ლეიენი: „თუ რუსეთი ბრძოლას შეწყვეტს, ომი აღარ იქნება, თუ უკრაინა შეწყვეტს – აღარ იარსებებს“

– მჯერა, რომ ევროპელთა ყველა თაობას აქვს მისია, რომელიც ჩვენი ღირებულებებით, ნიჭით და მისწრაფებებით ფორმირდება. და როცა დავიწყე ჩემი გზა, როგორც ევროპული კომისიის პრეზიდენტმა, პირველი კითხვა, რომელიც ჩემს თავს დავუსვი, იყო: რა არის ჩემი თაობის მისია?

ჩვენი მისია არის და უნდა იყოს მშვიდობა და უსაფრთხოება ჩვენს კონტინენტზე. მშვიდობა, რომელიც ჩვენს ღირებულებებსა და პრინციპებს ეყრდნობა. ამიტომაა, რომ კრემლის აგრესიის დასაწყისიდან ჩვენ უკრაინის მხარეს ვართ. ამიტომაა, რომ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ უკრაინის წინააღმდეგობას მხარი დავუჭიროთ. რადგან, ჩემო მეგობრებო, თუ რუსეთი ბრძოლას შეწყვეტს, უკრაინაში ომი აღარ იქნება. მაგრამ თუ უკრაინა შეწყვეტს ბრძოლას, უკრაინა აღარ იარსებებს. ამიტომ, დღეს მშვიდობის დაცვა უკრაინელ ხალხთან დგომას ნიშნავს. უკრაინელები იბრძვიან საკუთარი დემოკრატიისთვის, საკუთარი თავის (სახელმწიფოებრიობის) განსაზღვრისთვის, ადამიანის ღირსების პატივისცემისათვის. უკრაინელები იბრძვიან საკუთარი თავის გადარჩენისთვის, მაგრამ ასევე ევროპული ღირებულებებისთვის. და მე დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინაში ბოლო სიტყვა ბოროტებას არ ექნება.

უკრაინელი ხალხი არა მხოლოდ საკუთარ სახლებსა და ოჯახებს, არამედ საკუთარი მომავლის შემოქმედების უფლებასაც იცავს. და ისინი საკუთარ მომავალს ჩვენს კავშირში ხედავენ. ჩვენი მეზობლები – უკრაინა და არა მხოლოდ – გვეუბნებიან, რომ სურთ შეიცვალონ. უნდათ მეტი დემოკრატია, მეტი თავისუფლებები, მეტი პერსპექტივები.

ერთი სიტყვით: მათ მეტი ევროპა სურთ. უკრაინის გზა ევროკავშირისკენ, შესაძლოა, მაინც გრძელი იყოს, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი კავშირი უნდა იყოს ყველა იმ ევროპული ქვეყნის სახლი, რომელიც ჩვენს ღირებულებებს იზიარებს. ჩვენი ევროპული ღირებულებების ოჯახი უნდა აყვავდეს და მის მეზობლებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეს. ასე შევძლებთ მშვიდობისა და შეთანხმებისკენ ჩვენი დამფუძნებლების მისწრაფებების რეალიზაციას, – თქვა ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დერ ლეიენმა.

## მეუფე იაკობი: „ვიცი, ვინც მისმენდა, ისიც ვიცი, ზოგი ცოცხალი აღარ არის“



ბოდბელი ეპისკოპოსი მეუფე იაკობი ამბობს, რომ ე.წ. სუს-ის კრებსების საქმეზე პროკურატურისთვის მიმართვას და დაზარალებულის სტატუსის მოთხოვნას არ აპირებს.

– მე ადრე ვთქვი, ვის დროს მისმენდნენ, ისიც ვიცი, ვინც მისმენდა, ისიც ვიცი, ზოგი ცოცხალი აღარ არის და ვიცი, არ მჭირდება. რა თქმა უნდა, არ ვაპირებ (პროკურატურისთვის მიმართვას), რა აზრის აქვს. როდის დაიწყო მოსმენები, რომელი წლებიდან, ეკლესიას როდის უსმენდნენ, – თქვა მეუფე იაკობმა.

ცნობისთვის, სუს-ის კრებსები გასულ წელს გავრცელდა. ჩანაწერებით მტკიცდება, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უსმენს მოქალაქეებს, მათ შორის, ჟურნალისტებს, დიპლომატებს, აქტივისტებსა და სასულიერო პირებს. კრებსებში მოხსენიებული არაერთი პირი ჩანაწერების ავთენტურობას ადასტურებს.

პროკურატურამ ბოლო პერიოდში დაზარალებულის სტატუსი მიანიჭა ჟურნალისტებს, სამოქალაქო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებსაც.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# უკრაინამ შეიძლება რუსეთს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზეც დაარტყას, ოღონდ, არა ამერიკული იარაღით

## უკრაინელი ექსპერტი: „უკრაინას აქვს კანონიერი უფლება, მიაყენოს დარტყმები რუსეთის სამხედრო სამიზნეებს“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში, მაშინ, როცა დღითიდღე ფართოვდება ანტიდასავლური სიტყვიერი ფრონტი, უკრაინაში ნამდვილი ომი გრძელდება. უკრაინაში მიმდინარე პროცესები საქართველოს საზოგადოებას გულწრფელად აღელვებს.

ანალიტიკოსები თანხმდებიან, რომ ბოლო ხანს რუსეთის სამხედრო ობიექტებზე ოკუპირებულ ყირიმში მიტანილმა იერიშმა ფრონტზე გარდატეხა მოახდინა. ყირიმის ნახევარკუნძულზე, რომელსაც რუსეთი ისაკუთრებს, რუსი დამსვენებლებისა და ძირძველი მოსახლეობის გარდა, არიან ყირიმის მიტაცების შემდეგ, 2014 წლის შემდეგ დასახლებული რუსები.

უკრაინაში საუბრობენ იმაზეც, რომ რუსეთის სამხედრო ბაზებს უკრაინის ფარგლებს გარეთაც უნდა მიაყენონ დარტყმები.

ამ და სხვა საკითხებზე უკრაინულ მედიასთან საუბრობს უკრაინელი სამხედრო ექსპერტი ალექსეი მელნიკი.

***— აფეთქებებმა ყირიმში პანიკა გამოიწვია. ქერჩის ხიდზე წარმოიქმნა ნახევარკუნძულის დატოვების მსურველთა რიგები. საოკუპაციო ხელისუფლებამ ხიდი რამდენიმე დღით დაკეტა კიდეც. როგორ ფიქრობთ, რა იქნება შემდეგ? შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ყირიმის დეოკუპაცია ახლოა?***

— ეს მეტისმეტად ნაჩქარევი და ზედმეტად ოპტიმისტური დასკვნაა იქიდან, რაც ყირიმის ნახევარკუნძულზე ხდება. იქ წარმოშობილმა პანიკამ მოლოდინს გადააჭარბა. უკრაინა არ აღიარებს ამ დარტყმებს. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება საუბარი ამ მოვლენებთან დაკავშირებულ პოლიტიკურ და სტრატეგიულ მიზნებზე. ამ ყველაფერს ჰქონდა პოლიტიკური ეფექტი.

***— პოლიტიკურ ეფექტში რას გულისხმობთ?***

— ომის წარმოების კლასიკა ამბობს, რომ ნებისმიერ სამხედრო მოქმედებებს აქვს სამხედრო ან სამხედრო-პოლიტიკური მიზნები. ნორმალური დაგეგმარება გულისხმობს მიზნების დასახვას. ნოვოფიოდოროვკაში დარტყმის მიზანი იყო მტრის შეიარაღებისა და თვითმფრინავების განადგურება. ჯანკოიში, იქ არსებული მარაგის განადგურების გარდა, დასახული იყო, ოკუპანტის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოყვანა. დროებით მაინც. ლოგისტიკური ჯაჭვის გაწყვეტა. არ ვიცი, რამდენად იხილებოდა მომხდარის სხვა შემადგენელი-პოლიტიკური ეფექტი. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს დარტყმა საგანგებოდ ეფექტური გამოდგა პოლიტიკური მიზნის მიღწევის თვალსაზრისით.

***— მინისტრმა რეზნიკოვმა განაცხადა, რომ უკრაინას სრული უფლება აქვს, მიაყენოს დარტყმები მტრის ობიექტებს ოკუპირებულ ყირიმში, ვინაიდან საუბარია უკრაინის ტერიტორიაზე. მან აღნიშნა, რომ აშშ-ის მიერ მოწოდებული შეიარაღება არ იქნება გამოყენებული ობიექტების წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციაში. ყირიმის მიმართ კი ასეთი შეზღუდვა არ არსებობს. მოკავშირეებისგან მიღებული რომელი იარაღის გამოყენება შეიძლება სამიზნეების გასანადგურებლად ყირიმში?***



— დავიწყებ სხვა საკითხით. პირველ რიგში, უკრაინას აქვს კანონიერი უფლება, მიაყენოს დარტყმები რუსეთის ფედერაციის სამხედრო სამიზნეებს. მათ შორის, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. ყირიმისა და სხვა ოკუპირებული ტერიტორიების თაობაზე საერთოდ არავის უნდა გაუჩნდეს ეჭვი.

ამის გაცნობიერება მნიშვნელოვანია თემის განხილვისას — იმოქმედებს თუ არა უკრაინის მოქმედებების თავისუფლებაზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე ე. წ. რეფერენდუმების გამართვის მუქარა.

ვიღაცები დასავლეთში პანიკაში ვარდებიან და ფიქრობენ, რომ თითქოს თუ რუსეთი მოაწყობს რეფერენდუმს რომელიმე ტერიტორიაზე და მას თავისად აღიარებს, უკრაინას გარკვეული შეზღუდვები დაუწესდება. ეს სრული აბსურდია. ამის ნათელი დემონსტრირება ვიხილეთ ყირიმის მაგალითზე.

ახლა ვიტყვი დაპირებებსა და შეთანხმებებზე პარტნიორების მიმართ. თუ უკრაინა განახორციელებს დარტყმებს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, ეს ჩვენი უფლებაა. ამ უფლებაში ეჭვი არ შეაქვთ. მაგრამ ეს არ უნდა იყოს ამერიკული იარაღი. რუსეთს არ უნდა მიეცეს საბაბი, დაარტყას ნატოს წევრ რომელიმე ქვეყანას. ვალდებულებები უნდა შესრულდეს.

რომელი იარაღით შეუძლია უკრაინას მიიტანოს დარტყმები ობიექტებზე ყირიმში — შორეულ ზურგში — ეს პრინციპული არ არის. დასახელებას და კალიბრს მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, გვესმოდეს, რომ უკრაინას აქვს საშუალებები.

***— „ვაშინგტონ პოსტში“ დაიწერა პუტინის გეგმებზე, რომელიც მას უკრაინის მიმართ ომამდე ჰქონდა. კერძოდ, ის გეგმავდა არანაკლებ ნახევარი ჩვენი ქვეყნის მიტაცებას, პრეზიდენტ ზელენსკის ხელისუფლებიდან ჩამოცილებას ან ფიზიკურად განადგურებას. შესაძლებელია თუ არა, რომ ეს გეგმები დღემდე აქტუალური იყოს?***

— ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ ეს არ ვიცოდით. ამ გეგმების თაობაზე ცნობილი იყო. მოკლედ თუ ვიტყვით, პუტინის განზრახვაა უკრაინის განადგურება. ყველაფერი დანარჩენი მხოლოდ ნიუანსებია. პუტინის გეგმები არ შეცვლილა. ეს პოლიტიკური მიზანიც არაა. როცა სახელმწიფო სახავს პოლიტიკურ მიზანს და ცდილობს მის მიღწევას სამხედრო საშუალებებით, ის შეიძლება გადაიხედოს. ეს არ არის პოლიტიკური მიზანი. ეს ერთი კაცის ბოდვაა. ამიტომ, შედეგის მიღწევისთვის ბოლომდე ყველაფერს გააკეთებენ.

პუტინი ეცდება საკუთარი მიზნის მიღწევას იქამდე, სანამ ამის ნებას მისცემენ. დამარცხება ამ ომში ნიშნავს პუტინის როგორც პოლიტიკური, ისე ფიზიკური ცხოვრების დასასრულს. მას ესმის დამარცხების ფასი. აქედან გამომდინარე, იბრძოლებს ბოლო ჯარისკაცამდე, ბოლო ჭურვამდე, ბოლო რუბლამდე.

# ევროპაში ენერგოკრიზისი შესაძლოა „არმაგედონად“ იქცეს

უკრაინაში შექმნილი ვითარების გამო, ელექტროენერგიის ფასების კუთხით, ევროპაში ენერგეტიკული კრიზისი შესაძლოა „არმაგედონად“ იქცეს. ამის შესახებ Sky News წერს.

— ეს არის კრიზისი ჩვენი საზოგადოების ყველაზე დაბალი ფენისთვის, რომლებიც ზამთარში „არმაგედონის“ პირისპირ დარჩებიან. მხოლოდ მთავრობას შეუძლია ჩაერიოს და დარწმუნდეს, რომ ეს არ გამოიწვევს კატასტროფას არც ამ ზამთარს და არც მომავალ ზამთარს, — განაცხადა საქველმოქმედო ორგანიზაცია National Energy Action-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, ადამ სკორერმა.

Sky News-ის თანახმად, ბრიტანეთში ოჯახების 30%-ზე მეტს გადახდის პრობლემა აქვს. ამასთან, 2023 წლის იანვარში ქვეყანაში ოჯახების უკვე ნახევარი შესაძლოა ენერგო-სიღარიბის წინაშე აღმოჩნდეს.

ენერგეტიკული ბაზრის ექსპერტების უმეტესობა თანხმდება, რომ ენერგეტიკული კრიზისის ყველაზე რთული ვითარება ახლა ბრიტანეთშია. პრობლემები წარმოიქმნება ცხოვრების ყველა სფეროში, როდესაც ყველამ უნდა დაზოგოს. ამის გამო ზოგიერთმა შინამეურნეობამ ხის გათბობაზე დაიწყო გადასვლა.

27 აგვისტოს, მარეგულირებელმა Ofgem-მა განაცხადა, რომ ლონდონის ელექტროენერგიის გადასახადები ოქტომბრიდან 80%-ით გაიზრდება და საშუალოდ 3549 ფუნტი სტერლინგი (4.188 აშშ დოლარი) გახდება.

# უბილეთო მგზავრების ჯარიმებიდან ბიუჯეტში შესული თანხის მოცულობა 6-ჯერ გაიზარდა



2022 წლის 7 თვეში ბიუჯეტში უბილეთო მგზავრებისგან ჯარიმის სახით 927 654 ლარი შევიდა, ეს კი თითქმის 6-ჯერ მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებში (კონსოლიდაციის გარეშე) ვკითხულობთ, 2021 წლის იანვარ-ივლისში უბილეთო მგზავრობის გამო დაჯარიმებული პირებისგან ბიუჯეტში 166.030 ლარის აკუმულირება მოხდა.

ცნობისათვის, თბილისში, მუნიციპალური ტრანსპორტით, კერძოდ, ავტობუსით, უბილეთოდ მგზავრობაზე 20-ლარიანი ჯარიმა მოქმედებს. იმ შემთხვევაში, თუ პირი 30 დღის განმავლობაში ჯარიმას არ გადაიხდის, ეკისრება საურავი — 40 ლარი.

# საქართველოში იმპორტირებული მედიკამენტების 20%-ზე მეტი რეექსპორტზე გადის

საქართველოში იმპორტირებული მედიკამენტების 20%-ზე მეტი რეექსპორტზე გადის. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2022 წლის იანვარ-ივლისში საქართველოში 234,207 მლნ დოლარის ღირებულების დაფასოებული სამკურნალო საშუალებების იმპორტი განხორციელდა, საიდანაც 47,597 მლნ დოლარის რეექსპორტზე გავიტანეთ.

რაც შეეხება ქვეყნებს, წელს საქართველომ წამლები მსოფლიოს 26 ქვეყანაში „გადაყიდა“, მათ შორის, ყველაზე დიდი რაოდენობით უზბეკეთში — 28,790 მლნ დოლარის ღირებულების.

თოპ-10 ქვეყანა, სადაც საქართველოდან სამკურნალო საშუალებების რეექსპორტი განხორციელდა:

უზბეკეთი — 28,790 მლნ დოლარი; აზერბაიჯანი — 10,103 მლნ დოლარი; სომხეთი — 2,286 მლნ დოლარი; ყირგიზეთი — 1,571 მლნ დოლარი; რუსეთი — 1,512 მლნ დოლარი; მოლდოვა — 960,3 ათასი დოლარი; ლიბია — 346,5 ათასი დოლარი;



ტაჯიკეთი — 296,6 ათასი დოლარი; ირანი — 227,3 ათასი დოლარი; უკრაინა — 172,4 ათასი დოლარი.

# თბილისის რამდენიმე უბანს წყალი 34 საათით შეუწყდება

თბილისის რომელ უბნებს შეუწყდება წყალი 34 საათით. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ სპეციალურ განცხადებას ავრცელებს და მოსახლეობას წყალმომარაგების შეზღუდვის შესახებ აფრთხილებს:

„29 აგვისტოს, ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ მთაწმინდის რაიონში, მელიქიშვილის გამზირზე ახალ ქსელზე გადაერთებით სამუშაოებს ჩაატარებს

აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებელია მაგისტრალური ქსელის წყლისგან დაცლა, რის გამოც 29 აგვისტოს 12:00 საათიდან 30 აგვისტოს 22:00 საათამდე წყალმომარაგება შეეზღუდება:

**მთაწმინდის რაიონში:** პოლიკარპე კაკაბაძე, კაკაბაძეები, ზალდასტანაშვილი, ზანდუკელი, ზ. ბოცვაძე, ე. გაბაშვილი, ვ. სარაჯიშვილი, 8 მარტის, ქიაჩელის, ჭოველიძის, მაყაშვილის, კერესელიძის, გოგებაშვილის, იაკობ ნიკოლაძის, შიო მღვიმელის, როდენის, ვარაზის ხევის, კოტე მახარაძის, ვერიკო ანჯაფარიძის, სოფიკო ჭიაურელის, მიხეილ თუმანიშვილის, შარაშიძის, მელიქიშვილის, ქუჩიშვილის, ღამბაშიძის, კოსტავას 1 შესახვევს, კოსტავას 2 შესახვევს, მედეა (მზია) ჯუღელის, ხორავას, შანიძეს, ბაქრაძის, გაბუნიას, უმიკაშვილის, ლარსის, რეზო ჩხეიძე, გალის, თერგის, რჩეულიშვილის ჯაფარიძის, ბელინსკის, ბაშალეიშვილის, გ. ახვლედიანის, ეკალაძის, ვაშლოვანის, მიმინოშვილის, კობახიძის, მ. ჯავახიშვილის, მესხიას, გრიბოედოვის, ზუბალაშვილის, რუსთაველის, გუდიაშვილის, ფურცელაძის, ჯორჯაძის, ვაჩნაძის, გრ. აბაშიძის, ალ. ჭავჭავაძის, მ. ლაღიძის, რ. ლაღიძის, აბაკელიას, ცხემის, ტარიელის, ბორბალოს, რიწის, კ. მესხის, ს. მესხის, მთაწმინდა, ყიფიანის, არსენას, ზაალ ქიქოძე, ვეძინის, გიგაურის, ლიხის, ბესიკის, შევჩენკოს, ჟორდანიას, ინგოროყვას, ზიჩის, კოტეტიშვილის, ზ. ჟვანიას, ჭიჭინაძის, ლესია უკრაინკას, ვ. აბაშიძის, ნიაღვრის, გერგეთის, ჭონქაძის, სავანელის, ვ. ბერიძის, ამაღლების, ზ.დუმბაძის, ლეონიძის, იაშვილის, ლერმონტოვის, სულხან-საბას, მაჩაბელის, გ.ტაბიძის, შ. დადიანის, ერისთავის-ხოშტარიას, გუდაურის, თარხნიშვილის, ჯანაშიას, ტატიშვილის, მილორავას, ჩირგაძეს, გურგულიას, ალ. მაჭავარიანის, ნიშნიანიძის, წავკისის, ოქროყანის, შინდისის, შხეფის, პეტრიაშვილის, ჩიტაძის, 9 აპრილის და ჩაიკოვსკის ქუჩებს. ოქროყანას მთლიანად. თაბუკაშვილის 30-48, 25-53, კოჯრის, გერონტი ქიქოძე, აპ. ქუთათელაძის, სანაპიროს ქუჩა, სულიკო ჟღენტი, ვახტანგ მოსიძე, კირილე ულება, ლ. ბოცვაძე, ბროსე, ჯამბულის ქ, და შესახვევი, ჭანტურიას ქუჩებს

**კრწანისის რაიონში:** პუშკინის, აბესაძის, ახოსპიელის, კუფტინის, ვ. ივერიელის, საიათნოვას, ა. კათალიკოსის, გრ. ხანძთელის, აბოვიანის, იერუსალიმის, ლადო ასათიანის, ბეთლემის, გომის, თუმანიანი, ასკანის, ორპირი, სამღებრო, გორგასლის, ღვინის აღმართის და გუნიას ქუჩებს. კოტე აფხაზის 1-25, 2-22, ორთაჭალის ქ 1,2,3,4,5 ჩიხებით აბო თბილელი, აბანოს ქ, 2, გრიშაშვილის 11, თავისუფლების მოედანს

**საბურთალოს რაიონში:** დოლიძის ბალანჩივაძის, იოსელიანის, ახალშენის, ტეხურის, ჩაილურის, ზურაბ ქაფიანიძე, ჭიათურის, ენგურის, ქარელის, იყალთოს, და იყალთოს მთის, ბაკურიანის, ბაკურციხის, ტუსკიას, ლიხაურის, ჩიქოვანის, კოსტავას ქ, ალექსიძის, ალმასიანის, ასლანიდის, ბოჭორიშვილის, აკურის, მიროტაძის, ნატახტრის, მგალობლიშვილის, ჩერქეზიშვილის, ტაშკენტის, იმედაშვილის, ისაკაძის, გაგარინის, შარტავას, იოსებიძის, კალანდაძის, ქანთარიას, დარასელიას, ოჩამჩირის, არშბას, კანდელაკის, ფანჯიკიძის (ყოფ. ბუდაპეშტის), ონიაშვილის, ლვოვის, ოდესის, გელოვანის, ჟვანიას მოედანი, სხირტლაძის, სხვიტარიძის, ცხინვალის, აბაშიძის, ზემო ვეძისის, ლომონოსოვის, ჭაბუკიანის, ცინცაძის, ცაგარელის, მიცკევიჩის, საირმის, საირმის გორას, გამრეკელის, ბაგრატიონის, ვაჟა-ფშაველას №1-41, №2-58, ყაზბეგის გამზ. №1-41, № 2-24, ბურძგლას, ბახტრიონის, პეკინის, კარტოზიას, ფანასკერტელის, შევარდენიძის, თამარაშვილის, ქუთათელის, მ. დავითაშვილის, ვ. წულაძის, ოდიშელიძის, არდაზიანის, სახოკიას, უნივერსიტეტის №2-დან №8-ის ჩათვლით, ო. ლორთქიფანიძის, აფაქიძის და ხვიჩიას ქუჩებს. კვერნაძე, ბერბუკი, ზ. ბენდელიანი, ო.ჭილაძის (ამბროლაურის), ზოვრეთის, ვაზისუბნის, მეგრელაძის, ალასანიას, აკაკი გახოკიძის ქუჩებს

**ვაკის რაიონში:** ყაზბეგის გამზ. №26-30, №43-55, ჯანაშვილის, სვანიძის, ქუთათელაძის, მცხეთის, ქობულეთის, შატბერაშვილის, მარაბდის, კეკელიძის, ტაბიძის, ცხვედაძის, აბაშელის, რაზმაძის, ბარნოვის ქ. ფალიაშვილის ქ, რ. მიშველაძის, ერისთავის, ნაფარეულის, თაყაიშვილის, ბაზალეთის, ჭავჭავაძის გამზირს (გარდა №43, 45, 47, 49, 51, 53, 55, 73, 74, 75, 76, 78, 80, 82, 84), აბაშიძის, ამირეჯიბის, ჟვანიას, მარუხის გმირების, ბურკიაშვილის, არაყიშვილის, მზიურს, რამიშვილის, საჯაიას, ავალიანის აბულაძის, მოსაშვილის, ბერძენიშვილის, მუხაძის ლ.ელიავას, კავსაძის, თაქთაქიშვილის, დარიალის, რადიანის, არეშიძის, ატენის, შროშის, ყიფშიძის, მიქელაძის, ვ.გაბაშვილის, ავალიშვილს და წყნეთის ქუჩებს. ჭავჭავაძის გამზირი 1 შესახვევს

**ჩუღურეთის რაიონში:** მარჯანიშვილის ქ №2-18; №1-21, უშანგი ჩხეიძის ქ.

ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი ბოდიშს უხდის მომხმარებლებს შექმნილი დისკომფორტისთვის.

# ბჟანიას განცხადებამ, ოკუპირებული აფხაზეთის შესვლაზე რუსეთ-ბელარუსის კავშირში, აფხაზების უკმაყოფილება გამოიწვია

## იურისტი საიდ გერზედავა: „ეს ნიშნავს სერიოზულ ცვლილებებს აფხაზეთის სუვერენიტეტში“

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის, ასლან ბჟანიას განცხადებამ იმის თაობაზე, რომ აფხაზეთი მზადაა შევიდეს რუსეთ-ბელარუსის კავშირში, აფხაზეთის საზოგადოება აალელვა.

ამ ალიანსში ან ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება ბჟანიამ ადრეც არ გამორიცხა. ეს მოხდა აფხაზეთში, საზოგადოებასთან შეხვედრისას. ახლანდელი გზავნილი მოსკოვიდან უფრო გამომწვევად გაისმა და აფხაზეთი ააფორიაქა.

ბჟანიამ კრემლის იდეოლოგის, სოლოვიოვის გადაცემაში აგრესორი რუსეთის მიმართ ტკბილი სიტყვები არ დაიშურა და რწმენა გამოთქვა, რომ რუსეთი წარმატებით დაასრულებს „სამხედრო სპეცოპერაციას“ უკრაინაში. ამის მერე შეიქმნება ახალი რეალობა და მოიხაზება სამოკავშირეო სახელმწიფოს კონტურები.

– ჩვენ ამის იმედი გვაქვს. მზად ვართ ამაში მონაწილეობა მივიღოთ – გამოაცხადა დე ფაქტო პრეზიდენტმა.

თემაზე აფხაზურ მედიას ესაუბრა აფხაზი იურისტი **საიდ გერზედავა**. მისი ტერმინოლოგია ეწინააღმდეგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს.



***– ასლან ბჟანიამ ვლადიმირ სოლოვიოვის გადაცემაში გამოთქვა აფხაზეთის მზადყოფნა შევიდეს სამოკავშირეო სახელმწიფოში. როგორ აღიქვამთ ამას?***

– ამ სახის განცხადებები სხვა პოლიტიკოსებისაგან მომისმენია. პირველი პირისგან პირველად გავიგე. გამაკვირვა იმან, რომ პრეზიდენტი ლაპარაკობდა ხალხის სახელით. სანამ ასეთ რამეს იტყოდე, უნდა გქონდეს წარმოდგენა, უჭერს თუ არა ხალხი მხარს ასეთ გადაწყვეტილებას.

***– რა საფრთხეებს ხედავთ, თუ აფხაზეთი შევიდა სამოკავშირეო სახელმწიფოში?***

– ჩემთვის, როგორც იურისტისთვის, სამოკავშირეო სახელმწიფოში შესვლა უფრო მეტ რისკს შეიცავს, ვიდრე პლუსს. ეს ნიშნავს აფხაზეთის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, სტატუსის სერიოზულ ცვლილებებს. ეს მოასწავებს საშინაო დღის წესრიგზე კონტროლის დაკარგვას, შეუქცევად მიგრაციულ პროცესებს. ამ საუბრების ფონზე უკვე შეინიშნება მიგრაციული პროცესები. არის უძრავი ქონების მასობრივად გაყიდვის მცდელობები. ცალკე საკითხია ტერიტორიების გადაცემა. მგონია, რომ აფხაზეთის პოზიცია სამოკავშირეო სახელმწიფოს ფარგლებში ძალიან მოწყვლადი იქნება. აფხაზეთი იქნება ასიმეტრიული მექანიზმის მცირე ნაწილი. აფხაზეთის პირველი პირები ახლაც კი ლაპარაკობენ იმაზე, რომ აფხაზეთის სუვერენიტეტი უნდა გაიყოს. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ აფხაზეთი გახდება ზესახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შემადგენელი. ეს მაგონებს სიტუაციას აფხაზეთის სტატუსის გარშემო 1925-დან 1937 წლის ჩათვლით.

***– აფხაზეთის კანონმდებლობის თვალსაზრისით, როგორ გამოიყურება განცხადება იმის შესახებ, რომ აფხაზეთი მზადაა შევიდეს სამოკავშირეო სახელმწიფოში?***

– ეს საკითხი ჩვენს კანონმდებლობაში საგანგებოდ გაწერილი არ არის. თუმცა, სამოკავშირეო სახელმწიფოში შესვლაში ვხედავ აფხაზეთის სუვერენიტეტის დაკარგვას. აფხაზეთის კონსტიტუციის თანახმად, აფხაზეთი სუვერენული სახელმწიფოა. სანამ ამ განზრახვას გაახმოვანებდა, პრეზიდენტს ხალხის აზრი უნდა ეკითხა. ადამიანების რეაქციით ვხედავ, რომ ისინი ამ განზრახვას არ ეთანხმებიან.

***– პრეზიდენტის განცხადების შემდეგ გამოვიდა კონსტანტინ ზატულინი და თქვა, რომ აფხაზეთის შესვლა ამ კავშირში ძალიან გაამარტივებს რუსეთის მოქალაქეების მიერ აფხაზეთში მიწის შესყიდვას. ამაზე რას იტყოდით?***

– ესეც აჩვენებს, თუ რის უნდა გვეშინოდეს. ადრეც ვამბობდი, რომ უძრავი ქონების გაყიდვის საკითხი არ შეიძლება იყოს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების საგანი. შეეძლებათ თუ არა უცხო სახელმწიფოების მოქალაქეებს, შეიძინონ უძრავი ქონება თუ არა, – ეს საშინაო სუვერენული საკითხია და აფხაზეთში უნდა გადაწყდეს. მიწა ჩვენთან არ იყიდება. მიწის ყიდვა ჩვენს მოქალაქეებსაც კი არ შეუძლიათ. მიწას ვერ იყიდიან უცხო ქვეყნების მოქალაქეები. ეს არის დამცავი ზომები, რომლებიც გაითვალისწინეს აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დამფუძნებლებმა.

# „ოთხი დეპუტატის წერილებით ამერიკასთან ურთიერთობა არ დაზიანდება“

## დათო ლორთქიფანიძე: „კოალიციით ხელისუფლებაში რომ მოვედით და საკრებულოებში ნაცმოძრაობის წევრების გადმობირება დაიწყო, მე ამის კატეგორიული წინააღმდეგი წავედი“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.**



***– ბატონო დათო, თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ოთხმა დეპუტატმა პარლამენტის უმრავლესობის რიგები დატოვა და დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაში დაიწყო. მაშინ თქვით, რომ 1 თვის შემდეგ მეტყოდით, რა მიზანი ჰქონდათ და აქვთ. ამ საკითხზე ახლა თუ გაქვთ ჩამოყალიბებული აზრი, რა მიზანი აქვთ, ამერიკის ელჩთან ურთიერთობების გაფუჭება ხომ არა?***

– ფაქტია, რომ ისინი აქტიურობენ, რამდენიმე წერილი გამოაქვეყნეს. ეს მათი, როგორც მოქალაქეებისა და პარლამენტის წევრების უფლებაა. არ მგონია, კონკრეტულად, ვინმესთან დაპირისპირება ჰქონდეთ გამიზნული, მაგრამ მათი წერილებიდან შთაბეჭდილება რჩება, რომ ამერიკის ელჩი მათი წერილების შინაარსით კმაყოფილი არ არის.

***– ყველა წერილში ამერიკის ელჩზეა საუბარი. მესმის, რომ ამ დეპუტატებს აქვთ უფლება, ვისაც უნდათ, იმას დაუპირისპირდნენ, მათი სიმართლე თქვან, მაგრამ...***

– ეს მათი არჩევანია. მათ ეს ნაბიჯი გადადგეს. მთელ პოლიტიკურ დარტყმას საკუთარ თავსა და იმიჯზე მიიღებენ, მაგრამ ფაქტია, რომ პრეტენზიები ჯერ ამოწურული არ აქვთ, რადგან წერილების წერა გრძელდება. ვფიქრობ, წერილები კიდევ იქნება, რომელშიც ისინი თავის პოზიციას კიდევ უფრო მეტად გამოხატავენ.

ეს არის ჩემი ხედვა მათ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, დამატებით ვერაფერს გეტყვით. რაც 1 თვის წინ იყო, დამატებით არაფერი განსაკუთრებული არ გამოკვეთილა.

***– ანუ ვერ გებულობთ მათი მიზანი რა არის?***

– მთელი აზრი ამ დეპუტატების პარტიიდან და უმრავლესობიდან წამოსვლისა (იქვე ითქვა, რომ ისინი „ქართულ ოცნებას“ არ უპირისპირდებიან), მათი თვალით დანახული სიმართლის თქმაა.

***– ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო. ამ შემთხვევაში მათი თვალით დანახული სიმართლის თქმა, რაიმეს ხომ არ დააშავებს, როდესაც ჩვენი პარტნიორი სახელმწიფოს ელჩთან დაპირისპირებაზეა საუბარი?***

– რასაც მე ვხედავ, ამ შემთხვევაში დეპუტატების მთავარი ადრესატი ამერიკის ელჩია. ელჩისგან კი, ძალიან გაწონასწორებულ დამოკიდებულებას ვხედავ. არ მგონია, ამ განცხადებებით ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობას რაიმე ზიანი მიადგეს.

არ მგონია, სტრატეგიულმა პარტნიორმა, ამ ოთხი დეპუტატის განცხადებების გამო, რადიკალური პოზიცია დაიჭიროს.

***– როდესაც პოლიტიკოსი მიზანს დაისახავ და გარკვეულ სვლებს გააკეთებ (რასაც ჩვენ ახლა მათი განცხადებებით ვისმენთ მათი სვლებია), ალბათ, გინდა, დადებითი შედეგი მიიღო. იმ შედეგს ღებულობენ, რაც აქვთ დასახული?***

– ეს კითხვა სრული დატვირთვით მათთან არის დასასმელი. ჩემი გადმოსახედიდან საზოგადოებაში განსაკუთრებული აჟიოტაჟი: აუ, ეს რა ითქვა და რატომ ითქვაო, ან ეს არ უნდა თქმულიყო, ანდა, უი, ეს არ უნდა თქმულიყოო – ასეთი განწყობები არ მინახავს. დანარჩენს დრო გვაჩვენებს.

ბევრი ფაქტორია განმსაზღვრელი, განსაკუთრებით, ქართულ პოლიტიკაში. პოლიტიკურად არააქტიური პერიოდია. ქვეყანაში ინტენსიური პოლიტიკური ცხოვრება მიმდინარეობს, მაგრამ პოლიტიკური პროცესები მაინც ისეთი აქტიური არ არის, მაინც ზაფხულია, აგვისტოა.

ვფიქრობ, ქართულ პოლიტიკაში განსაკუთრებული აქტივობა სექტემბრის მეორე ნახევარსა და ოქტომბერში იქნება. მაშინ უფრო გამოჩნდება ამ განცხადებების „ავკარგიანობა“.

***– მიზნად ხომ არ აქვთ, ცალკე პოლიტიკურ სუბიექტად ჩამოყალიბება და კონსტრუქციულ ოპოზიციად ქცევა?***

– კონსპირაციულ დიკუსში არ შემოვალ, მაგრამ დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტის გაჩენას არ გამოვრიცხავ. პირიქით, ასეთ ფაქტს ვუშვებ. მით უმეტეს, მათ დააანონსეს, რომ ქმნიან საზოგადოებრივ მოძრაობა „ხალხის ხმას“. საზოგადოებრივი მოძრაობა პოლიტიკური პარტიის შექმნის წინ პრელუდიაა. მათაც ეყოლებათ თავიანთი მხარდამჭერები. რამდენად ბევრი მხარდამჭერი ეყოლებათ, ამას მომავალი გამოაჩენს.

***– თქვენ „ოცნების“ ერთგულ პოლიტიკოსად რჩებით?***

– როდესაც პოლიტიკური ძალის დამფუძნებელი ხარ, როდესაც შენი ცხოვრების მნიშვნელოვან პერიოდში რისკები გაწიე, რომ ამ ორგანიზაციისთვის პლუსები შეგემატებინა, არ გინდა ერთი ხელის დაქნევით და ნაჩქარევად არასწორი ნაბიჯი გადადგა. მე ვრჩები იმ პოზიციაზე, რა პოზიციაზეც ვიყავი.

ოღონდ, თუ ადევნებთ თვალყურს ჩემს აქტივობას ელექტრონულ მედიასა და პრესაში, დამეთანხმებით, რომ მაამებლური პოზიცია არასოდეს მიჭირავს. ყოველთვის ვცდილობ, ობიექტური ვიყო და სუბიექტივიზმი მეორე პლანზე იყოს, რადგან, ვფიქრობ, საზოგადოებას სიმართლე უნდა ვუთხრათ.

საზოგადოება მერე თვითონ განსაზღვრავს, რა როგორ არის. შეიძლება ლიდერშიპში ვინმეს არ მოეწონოს, მაგრამ როდესაც კარგად დაფიქრდებიან, გაგამართლებენ. ყოველ შემთხვევაში, ჩემი პოლიტიკური ცხოვრებიდან გამომდინარე (რაც რამდენიმე ათეულ წელს მოიცავს, მაგრამ ამ შემთხვევაში „ქართული ოცნების“ პერიოდს ვგულისხმობ), 2012 წლიდან მოყოლებული, ჩემი ყველა განცხადება, რომელიც გავაკეთე (პოზიცია დავაფიქსირე) და იმ პერიოდში ლიდერებს შორის გარკვეული უკმაყოფილება ნამდვილად გამოიწვია, დღეს გამართლებულია, 100%-ით ყველაფერი რეალობაა. იგივე, ვთქვათ, კოალიციაში არსებულ პარტიებთან დაკავშირებით.

***– შეგიძლიათ დაასახელოთ, კონკრეტულად, რამ გამოიწვია პარტიის ლიდერებში უკმაყოფილება?***

– დიახ. კოალიციით ხელისუფლებაში რომ მოვედით და საკრებულოებში ნაცმოძრაობის წევრების გადმობირება დაიწყო, მე ამის კატეგორიული წინააღმდეგი წავედი.

***– რატომ?***

– ამ პარტიებს რაიონებში ოფისებიც არ ჰქონდათ. საუბარია რესპუბლიკურ პარტიაზე, კონსერვატიულ პარტიასა და სხვებზე, რომლებსაც რეგიონებში ოფისებიც არ ჰქონდათ. ხელისუფლებაში რომ მოვედით, მათ უმოკლესი გზა აირჩიეს – არსებული საკრებულოებიდან ნაცმოძრაობის დეპუტაციის თავისკენ გადმოქაჩვა (ამ შემთხვევაში ნაცმოძრაობის დეპუტაციის პოზიციაც იყო, რომ ადგილზე გაეკეთებინათ პარტიული უჯრედები), რათა შემდეგ გაერთიანებულიყვნენ უფრო დიდ პოლიტიკურ ძალებად. მე ეს პოლიტიკურ შეცდომად მიმაჩნდა.

ეს მე ღიად არაერთხელ დავაფიქსირე, რადგან ცოცხალი მაგალითები იყო იმისა, რომ საკრებულოების 99% ნაცმოძრაობის დეპუტაციისაგან გახლდათ დაკომპლექტებული. ისინი ჩვენს კოალიციაში არსებულ პარტიებში გადადიოდნენ, მათთან ერთად ქმნიდნენ პარტიების რაიონულ ორგანიზაციებს და შემდეგ იმ რაიონულ ორგანიზაციებში თავისივე საახლობლოს ასაქმებდნენ, ანუ ნაცმოძრაობის წევრებით ავსებდნენ.

***– ამან ხელისუფლებაში პრობლემები გამოიწვია?***

– რა თქმა უნდა. ვერ ხედავთ, რომ გამოიწვია? მერე „ოცნების“ პოზიციაზე არამყარად მდგომი ადამიანების გვერდზე გაწევა. უფრო უარესიც, ჩვენზე შემოტევა. ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი საკადრო პოლიტიკაში არასწორი და ნაჩქარევი გადაწყვეტილებების.

80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ძალიან კარგად ვიცნობ. ისინიც კარგად მიცნობენ, როგორც მე ვიცნობ ამ ადამიანებს, მაქვს ჩემი მყარად ჩამოყალიბებული შეხედულებები და ვიცი, პოლიტიკურად როგორ სუნთქავენ.

ყოველთვის ვაფიქსირებ, რომ ეს ადამიანები (გვარებისა და სახელების თქმას ნუ მომთხოვთ), როგორც კი რაღაც პოლიტიკური რყევა იქნება, ზურგში ხანჯალს ჩაგვარტყამენ-მეთქი. ესეც დადასტურდა. ამიტომ ჩემი პოზიცია მაშინაც და ახლაც სიმართლისა და ხალხის მსახურებაა.

# სათამაშო ბიზნესიდან ბიუჯეტში შესული თანხის მოცულობა იზრდება

2022 წლის იანვარ-ივლისში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზარტული თამაშებიდან ბიუჯეტში შესული თანხის მოცულობა გაიზარდა.

კერძოდ, როგორც საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებში (კონსოლიდაციის გარეშე) ვკითხულობთ, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი მიმდინარე წლის იანვარ-ივლისში 50.806.098 ლარს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში კი – 33.116.700 ლარს შეადგენდა.

ამასთან, 2022 წლის 7 თვეში ბიუჯეტში სათამაშო აპარატებიდან – 25.220.923 ლარი შევიდა, წამახალისებელი გათამაშებიდან – 3.212.417 ლარი; სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან (ონლაინ კაზინოები) – 6.330.213 ლარი, სამორინეს მაგიდიდან – 15.752.001 ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი კი – 16.239.582 ლარი იყო.

# საქართველოში ზეთის იმპორტი განახევრდა

საქართველოში მზესუმზირის ზეთის იმპორტი განახევრდა. სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, თუ 2021 წლის 7 თვეში ქვეყანამ 20.581 ტონა (30,359 მლნ დოლარის ღირებულების) ზეთი იყიდა, წელს ანალოგიურ პერიოდში იმპორტირებული პროდუქტის მოცულობამ 9.253 ტონა (17,677 მლნ დოლარი) შეადგინა. შედეგად გამოდის, რომ წელს საქართველოს ზეთის იმპორტი ტონაზე დაახლოებით 29,5%-ით გაუძვირდა. კერძოდ, თუ შარშან ერთი ტონის საშუალო ღირებულება 1.475 დოლარს შეადგენდა, 2022 წელს ფასი 1.910 დოლარამდე გაიზარდა.



წელსაც, შარშანდელის ანალოგიურად, საქართველოში ყველაზე დიდი მოცულობით ზეთის იმპორტი რუსეთიდან განხორციელდა, მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი, ხუთეულში შედიან უკრაინა, ყაზახეთი და თურქეთი.

**სად რა ფასად ყიდულობს საქართველო ზეთს (2022 წლის სტატისტიკა):**

**რუსეთი** – 7.139 ტონა (13,454 მლნ დოლარი) – საშუალო ფასი ტონაზე 1.884 დოლარი;

**აზერბაიჯანი** – 1 525 ტონა (3,045 მლნ დოლარი) საშუალო ფასი ტონაზე 1.997 დოლარი;

**უკრაინა** – 278 ტონა (524,1 ათასი დოლარი) საშუალო ფასი ტონაზე 1.885 დოლარი;

**ყაზახეთი** – 142 ტონა (273,5 ათასი დოლარი) საშუალო ფასი ტონაზე 1.926 დოლარი;

**თურქეთი** – 122 ტონა (281,7 ათასი დოლარი) საშუალო ფასი ტონაზე 2.310 დოლარი.

# საქართველოდან ადგილობრივი წარმოების საკვები და სასმელი პროდუქტის 40%-ზე მეტი რუსეთში გადის

წელს, იანვარ-ივლისში საქართველოში წარმოებული საკვები და სასმელი პროდუქტების ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავალმა 443,996 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქსტატის მონაცემებით, აქედან 43%-ზე მეტი, კერძოდ, 191.887 მლნ აშშ დოლარი რუსეთში გავიდა. შემდეგ მოდის აზერბაიჯანი (25.913 მლნ აშშ დოლარი), უკრაინა (25.913 მლნ აშშ დოლარი) და სომხეთი (20.371 მლნ აშშ დოლარი).

# ბესიკ თამლიანი: „გირაოს გადახდას არ ვაპირებ, იზოლატორშიც „მეჯიკავებოდნენ“ და დიდი ხვეწნით გამოვედი“

— გირაოს გადახდას არ ვაპირებ, იზოლატორშიც „მეჯიკავებოდნენ“ და დიდი ხვეწნით გამოვედი, თორემ არ ვაპირებდი გამოსვლას, — ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე დაკავებულმა ბესიკ თამლიანმა მატროსოვის დროებითი მოთავსების იზოლატორის დატოვების შემდეგ განაცხადა.

მისივე თქმით, აღკვეთის ღონისძიების სახით მისჯილი პატიმრობის დასრულებამდე 3 დღე იყო დარჩენილი, რის შემდეგაც საპატიმრო დაწესებულებიდან გირაოს გარეშე გავიდოდა, თუმცა „ფულადი გადასახადი თაღლითურად დაუნიშნეს, რაც არაადამიანობაა“.

— მეორეჯერ გამოვდივარ გირაოთი ციხიდან, თუმცა მეორედ არ მახატია სახეზე სიხარული ან განცდა, რომ კმაყოფილი ვარ. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ იწერს ხელისუფლება დადებით სტატისტიკას, რომ ხალხს გირაოთი აკმაყოფილებენ. ისედაც 2 დღე იყო დარჩენილი და გირაოს გარეშე გავდიოდი თავისუფლებაზე, როდესაც ხალხს 2 დღე რჩება, ამ დროს თაღლითურად გირაოს უწესებენ, ეს არის არაადამიანობა. გირაოს გადახდას არ ვაპირებ, იზოლატორშიც „მეჯიკავებოდნენ“ და დიდი ხვეწნით გამოვედი, თორემ არ ვაპირებდი გამოსვლას. გირაოს გადავიხდი თუ არა, პროცესებზე დასწრებას ვაპირებ, ჩემი პრინციპული მიზანია, ვამხილო ის პოლიციელები და სისტემა, რომლებმაც კანონი არ იციან, — აღნიშნა ბესიკ თამლიანმა.



ცნობისთვის, მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე დაკავებული პირების: ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევისა და სტეფანე გიქოშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობა გადაისინჯა, სამივე მათგანი 5000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. თამლიანს, ემზარ სიუკაევსა და სტეფანე გიქოშვილს პატიმრობის 9-თვიანი ვადა 29 აგვისტოს ეწურებოდათ, შესაბამისად, მოსამართლემ მათთვის პატიმრობის შეცვლაზე იმსჯელა.

2021 წლის 29 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოსთან, მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე 5 პირი — ბესიკ თამლიანი, ემზარ სიუკაევი, ლაშა სამხარაძე, კახაბერ ქეშიკაშვილი და სტეფანე გიქოშვილი დააკავეს. ბესიკ თამლიანს, ემზარ სიუკაევს და ლაშა სამხარაძეს პოლიციელის მიმართ წინააღმდეგობის გაწევას, კახაბერ ქეშიკაშვილსა და სტეფანე გიქოშვილს კი, პოლიციელზე თავდასხმას ედავებიან.

ამასთან, ბესიკ თამლიანი 20 ივნისის საქმეზეა ბრალდებული და მას ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობას ედავებიან, რასაც თან ახლდა რბევა, ძალადობა, სხვისი ნივთის დაზიანება და განადგურება. თამლიანს აღნიშნულ საქმეზე 4000-ლარიანი გირაო აქვს შეფარდებული.

# სოსო გოგაშვილი აცხადებს, რომ „მისი უფლებების“ ერთ-ერთი დამცველი „გაქრა“

სუს-ის უფროსის ყოფილი მოადგილე სოსო გოგაშვილი ციხიდან მორიგ წერილს აქვეყნებს. როგორც გოგაშვილი აღნიშნავს, შს მინისტრმა მას ადვოკატად დიმიტრი მჭედლიშვილი მიუგზავნა, რომლის დახმარებითაც იტყოდა, რომ ჟურნალისტ აფგან მუხთარლიზე სოციალურ ქსელში სტატუსი აღელვებულმა დაწერა.



— როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ჩემს უფლებებს იცავს ორი ადვოკატი — რამაზ ჩინჩალაძე და დიმიტრი ღონღაძე. ისინი მე დამაკავშირეს ჩემმა მეგობრებმა, რომლებსაც, ბუნებრივია, ვენდობი. ადვოკატებს ჩემთან და ჩემს ოჯახის წევრებთან აქვთ თითქმის 24-საათიანი კომუნიკაცია ყოველდღიურ რეჟიმში. ისინი ახდენენ მტკიცებულებათა შეგროვებას და აქვთ კომუნიკაცია შესაბამის უწყებებთან და მედია საშუალებებთან. მოკლედ, მათ ორივეს, საზოგადოება ახლა უკვე იცნობს, როგორც ჩემს უფლებადამცველებს, თუმცა, მინდა საზოგადოებას ვაცნობო, რომ მე მყავდა კიდევ მე-3 ადვოკატი, რომელიც რამდენიმე დღე „იცავდა ჩემს უფლებებს“. ეს გახლავთ დიმიტრი მჭედლიშვილი, რომელიც გაქრა.

ახლა მოგიყვებით მის შესახებ: როდესაც მე მეოთხეჯერ ვესაუბრე ციხიდან ვახტანგ გომელაურს და დავუფიქსირე ჩემი მოთხოვნა, ეს იყო ბოლო ზარი, სადაც მან მითხრა, რომ ტელეფონით საუბარი რისკს შეიცავდა მისთვის, რადგან რიგით ბადრაგებს არ ენდობოდნენ და შეიძლება ინფორმაცია გაჟონილიყო, ამიტომ შემომთავაზა, რომ კომუნიკაცია მოხდებოდა მათთვის სანდო პირის (ადვოკატი) საშუალებით, რომლის საკონტაქტო ინფორმაციასაც გადმომცემდა მე-12 დაწესებულების დირექტორის მოადგილე, ხარიტონაშვილი.

შემდეგ ის შემოვიდოდა ჩემთან, როგორც ჩემი ადვოკატი და გადმომცემდა მათ პირობებს კონკრეტულად. ეს ჩემთვის დამატებითი მტკიცებულების შანსი იყო და, ბუნებრივია, დავთანხმდი. ხარიტონაშვილმა გადმომცა დიმიტრი მჭედლიშვილის ტელეფონის ნომერი, რომელიც მე ჩემი ადვოკატების მეშვეობით გადავეცი ჩემს ოჯახს. თან გავუმხილე ჩემი განზრახვის შესახებ, რომ ეს იქნებოდა დამატებითი მტკიცებულება და უჩემოდ არ გაეხმოვანებინათ ეს ინფორმაცია. მოხდა დიმიტრი მჭედლიშვილთან დაკავშირება, იგი მივიდა ჩემს ოჯახში და მოხდა ფორმალურად კონტრაქტის შედგენა, აღნიშნული ფაქტი ოჯახმა დააფიქსირა. ამის შემდეგ ადვოკატი დიმიტრი მჭედლიშვილი შემოვიდა ჩემთან მე-12 დაწესებულებაში, თარიღს მნიშვნელობა აღარ აქვს როდის, რადგან ეს კადრებიც წაშლილი იქნება, თუმცა, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შეუძლია ვიზიტორების სია გადაამოწმოს.

მჭედლიშვილი გამეცნო, მითხრა, რომ იგი ადრე მუშაობდა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ, ის ქალაქგარეთ იმყოფებოდა, როცა დაურეკეს პროკურატურიდან და უთხრეს, რომ ჩამოსულიყო. მან ასევე მითხრა, რომ ჩემთვის კარგად ნაცნობი იყო თუ როგორ მუშაობდა სისტემა. ჩემთვის სჯობდა, რომ დავთანხმებულიყავი მათ შემოთავაზებას და თან დასძინა, რომ ხომ ნახე FBI ტრამპის სახლში შევიდა და ჩხრეკა ჩაატარესო. მე შიკრიკი უხეშად გავაჩერე და ვუთხარი, რომ არც მე არ ვიყავი ტრამპი და არც სუსი არის FBI, სჯობდა, რაც დააბარეს, ის ეთქვა ჩემთვის. მან მითხრა, რომ მათი მოთხოვნა იყო, პირველ რიგში აფგან მუხთარლიზე უნდა მეთქვა, რომ მის შესახებ აღელვებულმა დავწერე ის სტატუსი და დამატებით ინფორმაციას არ ვფლობდი აღნიშნულის შესახებ, გარდა ოფიციალურად გავრცელებული ცნობებისა.

რაც შეეხება არჩევნების გაყალბების თემას, ამაზე ჯერ ჩამოყალიბებულები არ იყვნენ და მოგვიანებით მეტყოდნენ, რა ჩვენება უნდა მიმეცა. მე მას ვუთხარი, რომ გადაეცა ყველასთვის, რომ ჩემი პირობა იყო, ჩემი დაზარალებულად ცნობა, გაყალბებულ საქმეში გამართლება და ნამდვილი დამნაშავეების დასჯა. ამის შემდეგ მე მჭედლიშვილი აღარ მინახავს.

კრიმინალებო! მჭედლიშვილი სერვერი არ არის, რომ წაშალოთ ან დაწვათ და გაეცით პასუხები საზოგადოებას, — წერს სოსო გოგაშვილი.

# ქობულეთში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 9 ადამიანი დაშავდა, მათ შორის ორი ბავშვია




ქობულეთში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ცხრა ადამიანი დაშავდა, მათ შორის ორი ბავშვია.

შემთხვევა ბათუმი-ქობულეთის შემოვლით გზაზე, მდინარე კინტრიშთან მოხდა.

ერთმანეთს რამდენიმე მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

ადგილზე შესაბამისი სამსახურები არიან მობილიზებული.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში განუცხადეს, დაშავებულები ქობულეთის ორ კლინიკაში არიან გადაყვანილი.

მათივე ცნობით, დაშავებულებს ზედაპირული დაზიანებები აღენიშნებოდათ.

# ემზარ სიუკაევი: „ჩემი დაკავება მოხდა აბსოლუტურად უსამართლოდ“

„ჩემი დაკავება მოხდა აბსოლუტურად უსამართლოდ, პოლიციელების მხრიდან იყო არასათანადო რეაგირება. მე თავად ვარ ყოფილი პოლიციელი და ძალიან კარგად ვიცი პოლიციის საქმიანობა, — ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე დაკავებულმა ემზარ სიუკაევმა სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლების შემდეგ განაცხადა.



მისივე თქმით, პოლიციელების მიმართ არანაირ ძალადობას ადგილი არ ჰქონია.

— დავინახე პოლიციელის მხრიდან გაუმართლებელი ქმედება, რომ ის ცდილობდა ცრემლსადენი გაზის გამოყენებას თამლიანის მისამართით, მოვახდინე რეაგირება და პროპორციული ძალა გამოვიყენე. პოლიციელების მიმართ არანაირ ძალადობას ადგილი არ ჰქონია, 9 თვე ოჯახი დამიტოვეს ულუკმაპუროდ, რადგან ვერ ვმუშაობდი და ფინანსური შემოსავალი არ მაქვს, — აღნიშნა სიუკაევმა.

ცნობისთვის, მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე დაკავებული პირების: ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევისა და სტეფანე გიქოშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობა გადაისინჯა, სამივე მათგანი 5000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. ბესიკ თამლიანს, ემზარ სიუკაევსა და სტეფანე გიქოშვილს პატიმრობის 9-თვიანი ვადა 29 აგვისტოს ეწურებოდათ, შესაბამისად, მოსამართლემ მათთვის პატიმრობის შეცვლაზე იმსჯელა.

# გოგაშვილის გაუჩინარებული ადვოკატი: „შს მინისტრს საერთოდ არ ვიცნობ“

ადვოკატი დიმიტრი მჭედლიშვილი, რომელიც სოსო გოგაშვილის თქმით, გომელაურთან კონტაქტისას შუამავალი იყო, აცხადებს, რომ „საერთოდ არ იცნობს“ შინაგან საქმეთა მინისტრს. ამ თემაზე ის ფორმულას ესაუბრა.

26 აგვისტოს, სუს-ის ყოფილმა მაღალჩინოსანმა სოსო გოგაშვილმა მორიგი წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც ამბობს, რომ ვახტანგ გომელაურმა საკუთარი პირობების გასაცნობად მესამე „ადვოკატი“, დიმიტრი მჭედლიშვილი დაუნიშნა. გოგაშვილი აცხადებს, რომ მჭედლიშვილი ახლახან გაქრა.

მჭედლიშვილის მტკიცებით, გოგაშვილის ოჯახთან კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული, თუმცა თავად გოგაშვილს ერთხელ შეხვდა, პირობებზე ვერ შეთანხმდნენ და მას შემდეგ კომუნიკაცია აღარ ჰქონიათ.

— მისი თხოვნით, ოჯახთან გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე, შევედი მასთან ერთხელ, თუმცა ვერ შევთანხმდით პირობებზე (ჰონორარი და ა.შ.) და აღარ გაგრძელებულა ჩვენი ურთიერთობა. არანაირი შემხებლობა არ მაქვს ვახტანგ გომელაურთან, არც ვიცნობ საერთოდ. მე მათი თხოვნით შევედი, კონტრაქტი გავაფორმე მის მეუღლესთან, ერთხელ შევედი, ვნახე და მეტი ჩვენ შორის აღარ ყოფილა კომუნიკაცია. ნამდვილად არავის გავუგზავნივარ არსად, — ამბობს მჭედლიშვილი.

# პოლიციამ გამოავლინა პირები, რომლებმაც ანაკლია-განმუხურის ხიდზე შუშები ჩაამტვრიეს

ზუგდიდის პოლიციამ გამოავლინა პირები, რომლებმაც ანაკლია-განმუხურის ხიდზე შუშები ჩაამტვრიეს.



სამართალდამცველებმა ორი პირი უკვე დააკითხეს, მათგან ერთი არასრულწლოვანია. ორივე მათგანი დანაშაულს აღიარებს და ამბობს, რომ შუშების ჩამსხვრევის დროს არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

როგორც ცნობილია, საქმეში დევს ვიდეომტკიცებულებები, მათ შორის კადრები, რომელზეც ჩანს, როგორ ჩაამსხვრიეს ხიდის შუშები.

ჯერჯერობით მათ ბრალი არ წარდგენიათ, პროკურატურა ექსპერტიზის პასუხებს ელოდება.

მომხდარზე გამოძიება 187-ე მუხლით მიმდინარეობს.

განმუხური-ანაკლიის ხიდის შუშები 16 აგვისტოს ჩაამტვრიეს, დაზიანებულია 52 მოაჯირი.

# ჩიქობავას ქუჩაზე აივნის ჩამონგრევას მსხვერპლი მოჰყვა

თბილისში, ჩიქობავას ქუჩაზე, იტალიურ ეზოში, საცხოვრებელი სახლის მეორე სართულის აივანი ჩამოინგრა, რასაც 74 წლის ქალის სიცოცხლე შეეწირა. თუ რამ გამოიწვია ნგრევა, ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს, ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევა უკვე დაიწყო.

როგორც ჩიქობავას 5 ნომრის მცხოვრებლები ჰყვებიან, მათ გუშინ, დაახლოებით 2 საათზე ხმაური გაიგეს და როცა გამოვიდნენ, მძიმე სურათი დახვდათ. მათი ინფორმაციით, გარდაცვლილი ქალი სარეცხს ფენდა, რა დროსაც აივანი ჩამოინგრა და ის ეზოში მდგარ ავტომობილს დაეცა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების და ქალის კლინიკაში გადაყვანის მიუხედავად, მისი დაზიანებები სიცოცხლისთვის შეუთავსებელი აღმოჩნდა.

მეზობლების ინფორმაციით, კორპუსი ავარიულია, მას სჭირდება რეაბილიტაცია, თბილისის მერიას რემონტისთვის თანხა გამოყოფილი ჰქონდა, თუმცა ბინის მეპატრონემ ამაზე თანხმობა არ გამოხატა.

„რუსთავი 2“-თან საუბარში თავად ბინის მეპატრონემ ადგილობრივების ბრალდებები უარყო.

# თურქეთის ორი მოქალაქე ქართველებს თავს დაესხა



გონიოში ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. არსებული ინფორმაციით, თურქეთის 2 მოქალაქე, რომლებიც არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, საქართველოს მოქალაქეს ფიზიკურად გაუსწორდნენ და ავტომობილი დაუზიანეს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი მერაბ ღოღობერიძე სოციალურ ქსელში შემთხვევის ადგილზე გადაღებულ ფოტო/ვიდეო მასალას აქვეყნებს.

კადრებში ჩანს იარაღი, ბეისბოლის ჯოხი და სხვადასხვა რკინის საგნები, რომლებიც, სავარაუდოდ, დაპირისპირებაში ფიგურირებდა.

ღოღობერიძის ცნობით, დაზარალებული სოციალურად დაუცველია, რომელიც ჯართს აგროვებდა.

# პატიმარი გაიქცა თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორიდან

თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორიდან პატიმარი გაიქცა. „მთავარის“ ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი საკნის ფანჯრიდან გადაძვრა და მიიმალა. პოლიციამ ის რამდენიმესაათიანი ძებნის შემდეგ დააკავა.

„მთავარის“ ინფორმაციით, პატიმარი, რომელიც იზოლატორიდან გაიქცა, ადმინისტრაციული წესით იყო დაკავებული.

# პოლონეთში 35 წლის ქართველი გარდაცვლილი იპოვეს

პოლონეთში ჩოხატაურელი მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს.

არსებული ინფორმაციით, 35 წლის გიორგი გ-ძე გარდაცვლილი მეგობარმა იპოვა. გარდაცვალების სავარაუდო მიზეზად გულის შეტევა სახელდება. იგი პოლონეთში სამუშაოდ იმყოფებოდა. გიორგი გოგოლაძეს მშობლიურ სოფელ სამებაში 3 კვირაში ჩამოასვენებენ.

# უკრაინულმა ძალებმა მელიტოპოლში რუსული სამხედრო ბაზა გაანადგურეს



უკრაინულმა ძალებმა წუხელ მელიტოპოლში რუსული სამხედრო ბაზა გაანადგურეს.

ამის შესახებ მელიტოპოლის მერმა ივან ფედოროვმა ტელეკომპანია Freedom-ის პირდაპირ ეთერში განაცხადა.

– წუხელ მელიტოპოლის რაიონის სოფელ მირნეში აფეთქებების ხმა გაისმა. ერთ-ერთი შენობა, რომელშიც ფსევდორეფერენდუმის მომზადება მიმდინარეობდა, განადგურებულია, – განაცხადა ფედოროვმა.

როგორც მერი აცხადებს, განადგურებულია მელიტოპოლში მტრის ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო ბაზა, რომელიც ავტოკოლორლიტის ქარხანაში მდებარეობდა.

# ინდიანაპოლისში სასტუმროსთან მომხდარი სროლისას სამი ჰოლანდიელი სამხედრო დაიჭრა




აშშ-ში, ქალაქ ინდიანაპოლისში, სასტუმროსთან მომხდარი სროლის შედეგად, სამი ჰოლანდიელი სამხედრო დაიჭრა.

ნიდერლანდების თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ერთი ჯარისკაცი კრიტიკულ მდგომარეობაშია, დანარჩენი ორი კი გონზეა. ინდიანაპოლისის პოლიცია კი აცხადებს, რომ ორი ჯარისკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია, მესამე სამხედრო კი სტაბილურად გრძნობს თავს.

როგორც ნიდერლანდების თავდაცვის უწყება აცხადებს, სამი ჯარისკაცი აშშ-ის ინდიანას შტატში წვრთნებისთვის იმყოფებოდა და თავისუფალ დროს საკუთარი სასტუმროს წინ ატარებდნენ, როდესაც სროლა მოხდა.

ინდიანაპოლისის პოლიცია მომხდარზე გამოძიებას ატარებს. ჯერჯერობით დაკავებული არავინაა.

# ევროკავშირი მიმდინარე კვირაში რუსეთთან სავიზო შეთანხმების შეჩერებას აპირებს




ბრიტანული გამოცემა Financial Times-ის ცნობით, ევროკავშირი ამ კვირაში რუსეთთან სავიზო შეთანხმების შეჩერებას აპირებს. 2007 წელს დადებული შეთანხმების გაყინვის შემთხვევაში, რუსებს გაურთულდებათ და გაუძვირდებათ შენგენის ზონის დოკუმენტების მიღება.

როგორც მედია წერს, ეს მას შემდეგ ხდება, რაც აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი წევრი ქვეყანა რუსი ტურისტებისთვის საკუთარი საზღვრების ცალმხრივად დაკეტვით დაიმუქრა, ხოლო ბლოკის წევრი სხვა სახელმწიფოები კი რიგითი რუსების ევროკავშირში ტურისტული ვიზებით გამგზავრების შესაჩერებლად, კოლექტიური ქმედებების მოწოდებით გამოდიან.

Financial Times-ის ინფორმაციით, მინისტრები პრაღაში, ორდღიან შეხვედრაზე, რომელიც სამშაბათს დაიწყება, გეგმავენ პოლიტიკური მხარდაჭერა დააფიქსირონ ევროკავშირსა და რუსეთს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ შეთანხმების შეჩერების მიმართ.

– რუს მოსახლეობას ჩვენ სიგნალი უნდა გავუგზავნოთ, რომ ეს ომი არ არის კარგი, ეს არ არის მისაღები, – განუცხადა გამოცემას ევროკავშირის მაღალჩინოსანმა, რომლის ვინაობაც არ სახელდება.

# ნიდერლანდებში, ერთ-ერთ დაბაში, წვეულებაზე სატვირთო შევარდა – არიან დაღუპულები და დაშავებულები



ნიდერლანდებში, ერთ-ერთ დაბაში, წვეულებაზე სატვირთო მანქანა შევარდა. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, არიან დაღუპულები და დაშავებულები.

შემთხვევის დროს სატვირთო მანქანა გზიდან გადავიდა და ღია ცის ქვეშ მოწყობილ წვეულებაზე შევარდა.

პოლიციის წარმომადგენლის განცხადებით, დადასტურებულად ფლობენ ინფორმაციას ორი დაღუპულის შესახებ. მისივე თქმით, დიდია დაშავებულთა რაოდენობაც. ისინი კლინიკებში გადაიყვანეს. ადგილზე სამედიცინო და სამაშველო სამსახურებია მობილიზებული.

# ქალი, რომელსაც რუსეთი დარია დუგინას მკვლელად აცხადებდა, მოკლული იპოვეს



ქალი, რომელსაც რუსეთი დარია დუგინას მკვლელად აცხადებს, მოკლული იპოვეს. ამის შესახებ ინფორმაციას რუსული ტელეგრამ არხები ავრცელებენ და წერენ, რომ ნატალია ვოვკი, იგივე ნატალია შაბანი, რომელიც რუსული ძალოვანი უწყებების თქმით, დარია დუგინას მკვლელია და, რომელიც მათივე მტკიცებით, აზოვის წევრია, ნაქირავებ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს. ტელეგრამ არხები ავრცელებენ მოკლული ქალის კადრებს თითქოსდა შემთხვევის ადგილიდან და წერენ, რომ მას დანით 17 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, ხელში კი წერილი ეჭირა. მისი შვილის ადგილსამყოფელი უცნობია. სხვა დეტალები არ კონკრეტდება.

შეგახსენებთ, რომ მოსკოვის ოლქში რუსი პროპაგანდისტის ალექსანდრ დუგინის მანქანა 20 აგვისტოს ააფეთქეს, რომელშიც მისი შვილი დარია დუგინა იმყოფებოდა.

რუსული „ეფესბეს" მტკიცებით, დანაშაული მოამზადა და ჩაიდინა უკრაინის სპეცსამსახურებმა, ხოლო დამნაშავე ნატალია ვოვკია, რომელიც რუსეთში 23 ივლისს ჩავიდა 12 წლის ქალიშვილთან ერთად და იქირავა ბინა იმ სახლის მეზობლად, სადაც დარია დუგინა ცხოვრობდა. რუსულმა მხარემ განაცხადა, რომ ვოვკი „აზოვის" პოლკში მსახურობდა, თუმცა „აზოვმა" ეს ინფორმაცია უარყო.

რუსული სპეცსამსახურების ინფორმაციით, დუგინას მკვლელობის შემდეგ ქალი ესტონეთში წავიდა საკუთარი მანქანით, რომელსაც უკრაინული ნომრები ჰქონდა.

# როდის დაბრუნდა ალა პუგაჩოვა მოსკოვში



ცნობილი რუსი მომღერალი ალა პუგაჩოვა რუსეთში დაბრუნდა. ამის შესახებ ინფორმაციას დიზაინერი იგორ გულიაევი ავრცელებს.

ალა პუგაჩოვას რუსეთში დაბრუნების შესახებ ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც დიზაინერმა ინსტაგრამზე გამოაქვეყნა ვიდეო, თუ როგორ გადმოდის მომღერალი საკუთარი მანქანიდან და გულიაევის მაღაზიაში შედის, რომელიც მოსკოვის ცენტრში მდებარეობს.

პუგაჩოვა ვიდეოში ამბობს, რომ ის უკვე საკმაო ხანია რუსეთში იმყოფება.

რუსეთის ყველაზე პოპულარულმა მომღერალმა ქვეყანა უკრაინაში ომის დაწყებიდან მალევე დატოვა. ალა პუგაჩოვა და მისი მეუღლე მაქსიმ გალკინი იყვნენ იმ არტისტებს შორის, რომლებმაც კრემლის მიერ რუსეთში დაწყებული ომი დაგმეს. ამის გამო ისინი მძაფრი კრიტიკის სამიზნეები გახდნენ.

ანტისაომარი პოზიციის გამო პუგაჩოვა-გალკინის წყვილი პროპუტინისტური მედიის წარმომადგენელმა, „რაშა თუდეის" მთავარმა რედაქტორმა მარგარიტა სიმონიანმა პირდაპირ ეთერში შეურაცხყო.

ისრაელში წასული ალა პუგაჩოვა აცხადებდა, რომ ის ემიგრაციაში არ წასულა და რუსეთში დაბრუნებას ბავშვების სწავლის დაწყების პერიოდისთვის, საშემოდგომოდ აპირებდა.

ჯერჯერობით არ არის ცნობილი, უკვე რუსეთში არიან თუ არა ალა პუგაჩოვასა და მაქსიმ გალკინის შვილები, თუმცა, რუსეთში არ დაბრუნებულა მაქსიმ გალკინი, რომელიც საკუთარი შოუ პროგრამით, რომელიც ძირითადად რუსეთის ხელისუფლების კრიტიკაზეა, მსოფლიო ტურნეში იმყოფება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



# დინამომ დინამოსთან სხვაობა შეამცირა

**ლოკომოტივი-დინამო (ბთ) 1:1**

**საგურამო. ლოკო**

1:0 ძებნიაური (52პ), 1:1 ფანცულაია (86)

**ლოკომოტივი:** გოშაძე, გიორგაძე, ომარაშვილი, კეკელიძე (მახარობლიძე 73), ძებნიაური, გაბაძე, კახაბრიშვილი (კალანდაძე 64), იაშვილი (ანდრონიკაშვილი 79), აბდულაჰი, უბილავა, შეყილაძე (კიკნაძე 73)

**დინამო:** ალავიძე, აზაცკი, ვაწაძე, ბიძინაშვილი (ფანცულაია 62), ფალავანდიშვილი, მამუჩაშვილი, მ.კობახიძე, რადინი (ზარია 78), ღუდუშაური (ჯიღაური 62), დავითაშვილი, ჩაბრაძე (ნავალოვსკი 70)

საგურამოში ბოლოადგილოსან ლოკომოტივს ლიდერი ბათუმის დინამო ეწვია და მოულოდნელი ქულები დაკარგა.

ყველა იოლ მატჩს ელოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მეტიც, ლოკომოტივი თორნიკე ძებნიაურის გატანილი პენალტით უგებდა მეტოქეს და ზღვისპირელებმა ანგარიშის გათანაბრება მხოლოდ 86-ე წუთზე მოახერხეს, როდესაც შეცვლაზე შესულმა გიორგი ფანცულაიამ თავური დარტყმით გაიტანა.

სხვათა შორის, ძებნიაურმაც და ფანცულაიამაც მიმდინარე სეზონში სადებიუტო გოლები გაიტანეს.

ლოკომოტივისთვის ეს პირველი ფრეა: აქამდე 1 მოგება და 21 წაგება ჰქონდა. ბათუმელები ახლა უკვე 7-ქულიანი ფორით ლიდერობენ.

**საბურთალო-დინამო (თბ) 1:2**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

0:1 კამარა (20), 0:2 იმრანი (26), 1:2 გოჩოლეიშვილი (32)

**საბურთალო:** მეგრელიშვილი, შ.ნონიკაშვილი (გეგუჩაძე 88), ი.ტაბატაძე (ვინისიუსი 63), ქარდავა (ო.მამაგეიშვილი 77), გულიაშვილი, გოშთელიანი, ლ.ნონიკაშვილი, კაკუბავა, ჯინჯოლავა (მამაცაშვილი 88), გოჩოლეიშვილი, ჩადუნელი

**დინამო:** კერესელიძე, კალანდაძე, მექვაბიშვილი (გაბედავა 90), იმრანი (კუცია 73), სხირტლაძე (ბილენკი 73), მოისწრაფიშვილი (ოსიყმაშვილი 67), ტაბიძე, თ.კირკიტაძე (ანტილევსკი 67), კობოური, კამარა, მაისურაძე

თბილისური დერბი გორში გაიმართა და დინამომ იმარჯვა. წლეულს ამ გუნდების წინა 2 დაპირისპირება ფრედ დასრულდა (0:0, 1:1), ამჯერად კი, თანაფარდობა არ შედგა.

3-ვე გოლი პირველ ტაიმში გავიდა: მე-20 წუთზე უსმანე კამარამ დინამოელთა მრავალსვლიანი კომბინაცია დაასრულა გოლით; 26-ე წუთზე ულად-ომარ იმრანმა შორიდან ზუსტი დარტყმით დინამოელთა უპირატესობა გაზარდა. ეს იმრანის პირველი გოლია ახალ კლუბში.



საბურთალოდან სხვაობა გიორგი გოჩოლეიშვილმა შეამცირა, რომელმაც ლევან ნონიკაშვილის კარგი პასი გამოიყენა – 1:2.

რაც ეროვნული ლიგა განახლდა, თბილისის დინამომ მიჯრით 3-ჯერ მოიგო, საბურთალომ კი, პირიქით – ზედიზედ მესამედ წააგო.

**დილა-სიონი 1:2**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

1:0 ბატიუშინი (25), 1:1 ფოცხვერია (49პ), გნაბიუ (56)

**დილა:** კანევცევი, ჭიჭინაძე, მოსიაშვილი, თ.კაპანაძე, გეილი, ნონდი, სპანდერაშვილი (გომისი 62), ბატიუშინი (დრამე 73), გაფრინდაშვილი, ძოწენიძე (ვიქტორი 90), სილვა

**სიონი:** ისიანი, ბექაური, კარვალიუ, ლ.ხორხელი (ჟორდანია 77), მესიაჩენკო (გნაბიუ 46), ნ.ხორხელი (უგრეხელიძე 90), ჩაგანავა (ტვილდიანი 46), ფოცხვერია, კიკალიშვილი, დუმბია, ზურაბიანი (ჯავაშვილი 73)

გორის დილამ შინ 1:2 წააგო ბოლნისის სიონთან. ეს ქართლელთა ზედიზედ მე-4 წაგებული თამაშია, მაგრამ გუნდი მაინც მე-4 ადგილზე რჩება.

არადა, პირველი ტაიმი გორელებმა იური ბატიუშინის გოლით მოიგეს. ეს უკრაინელი ფეხბურთელის პირველი გოლია ქართულ ლიგაში.

მე-2 ნახევარში სიონმა თამაში მოატრიალა და ორი გოლი გაიტანა: ჯერ ივან ფოცხვერიამ პენალტით გაათანაბრა, მერე კი, ფრანგმა ახალწვეულმა გი გნაბუიუმ თავურით წინ გაიყვანა სიონი – 2:1.

ამ გამარჯვებით სიონმა ოდნავ გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა.

**სამგურალი-გაგრა 2:2**

**წყალტუბო. 26 მაისი**

1:0 ჯერალდო (7), ახვლედიანი (13), 2:2 შონია (20), 2:2 გვიშიანი (77)

**სამგურალი:** შოვნაძე, ი.ახვლედიანი, პატარკაციშვილი, მაისაშვილი (დოლიძე 85), ჩიხ-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## კალეიდოსკოპი

# მამაკაცმა მშვილდ-ისრით თევზი მოინადირა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა



აშშ-ის მკვიდრმა მშვილდ-ისრის გამოყენებით მოინადირა მსხვილი თევზი და მსოფლიო რეკორდი მოხსნა.

ნებრასკის შტატის ქალაქ ომაჰის მცხოვრები რიჩ პორტერი მისურის შტატში ტბა ოზარკსზე ბოუფიშინგით იყო დაკავებული.

– ჩვეულებრივ, მისურიში სათევზაოდ წელიწადში ორ-სამჯერ ჩავდივარ. ახლობელი მყავს, რომელთან ერთადაც ვთევზაობ ოზარკსის ტბაზე. იმ დღეს ნავიდან ვთევზაობდი, ის კი გიდის მოვალეობას ასრულებდა, – იხსენებს მეთევზე.

ამერიკელმა განსაკუთრებული წარმატების გარეშე მოსინჯა რამდენიმე სათევზაო ადგილი და ბედმა მხოლოდ სულ ბოლოს გაუღიმა. მან მოახერხა, ისრით მოეკლა 6,5-კილოგრამიანი ბლაგცხვირა ჯავშნოსანი ქარიყლაპია.

– ჩვეულებრივ, ბლაგცხვირა ჯავშნოსნის წონა ორ კილოგრამს შეადგენს. ასე რომ, თავდაპირველად ვიფიქრეთ, ეს გრძელცხვირა ჯავშნოსანი იყო, – ამბობს ამერიკელი.

მისურის შტატის ბუნების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ასევე ვერ მოახერხეს დაედგინათ, თუ რომელი თევზი მოინადირა პორტერმა. იმის დასადგენად, რომ მამაკაცმა სწორედ ბლაგვცხვირა ჯავშნოსანი დაიჭირა, დნმ-ის ანალიზის გაკეთება დასჭირდათ.

მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ნებრასკელმა მეთევზემ არა მხოლოდ მისურის შტატის, არამედ მსოფლიო რეკორდი მოხსნა ამ სახეობის თევზის „ალტერნატიული საშუალებით" დაჭერაში. წინა რეკორდული ზომის ბლაგვცხვირა ჯავშნოსანი მისურის შტატის ტბა მარკ რვენში დაიჭირეს 2006 წელს და მისმა წონამ 5,0 კილოგრამი შეადგინა.

ბოუფიშინგი წარმოადგენს თევზჭერის მეთოდს, რომლის დროსაც იყენებენ მშვილდ-ისარს ან არბალეტს სპეციალური ძუამიბმული ისრებით.

# სპილომ პატრონი ეშვებზე წამოაგო



ტაილანდში მოშინაურებულმა სპილომ პატრონი, რომელიც სიცხეში მუშაობას აიძულებდა, ეშვებზე წამოაგო.

აღნიშნული თავდასხმა ოთხშაბათს, 17 აგვისტოს მოხდა ქვეყნის სამხრეთში მდებარე პხანგნგას პროვინციაში. კაუჩუკის პლანტაციაში გამოძახებაზე მისულმა პოლიციელებმა ადგილზე 32 წლის სუპაჩაი ვონგფაედის სისხლის გუბეში მცურავი ცხედარი აღმოაჩინეს.

დაღუპულს თავზე ედგა 20 წლის სპილო, სახელად პომ-პამი. სამართალდამცავები იძულებულნი გახდნენ, ცხედართან მისასვლელად ცხოველი მოეკლათ. გამომძიებლების დასკვნით, სპილო თავის პატრონს თავს იმის გამო დაესხა, რომ გაუსაძლის სიცხეში მორების თრევას აიძულებდა.

პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სიცხესა და მუშაობის იძულებას შეიძლება ებიძგებინა პომ-პამას პატრონის მკვლელობისკენ. მოგვიანებით გაირკვა, რომ სუპაჩაი ვონგფაედი რაიონის ყოფილი მერის ხოკ ჩაროენის შვილი იყო. სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ ცხედარი ნათესავებს გადაეცათ.

# მთვრალმა მეძავმა ავტობუსში მგზავრს ყური მოაჭამა




ტაილანდის ქალაქ პატაიაში მთვრალი მეძავი ტურისტს თავს დაესხა და ყური მოაკვნიტა.

25 წლის კანიკა კამპტონი ღიასალონიან ავტობუსს შუქნიშნის გაჩერებაზე შეახტა. მგზავრების თვალწინ ის 55 წლის მამაკაცთან მივიდა, კბილებით მარჯვენა ყურში ჩააფრინდა, ნაწილი მოაგლიჯა და გადაყლაპა, ამის შემდეგ მიმალვას მანამდე შეეცადა, სანამ თვითმხილველები პოლიციას გამოიძახებდნენ. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა მამაკაცს ყური იქვე, გზის პირას გადაუხვიეს, რის შემდეგაც საავადმყოფოში გადაიყვანეს, ქალი კი დააკავეს.

– პოლიციელებმა ის მოძებნეს. დაკავების დროს ქალმა მათ წინააღმდეგობა გაუწია, ერთ-ერთს კი ფეხი ჩაარტყა. მის დასაკავებლად დამატებითი ძალების გამოძახება გახდა საჭირო, – განაცხადა პოლიციის წარმომადგენელმა. ქალის მამაკაცზე თავდასხმის მოტივი ჯერჯერობით უცნობია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# საქართველო იტალიასთან ბრძოლაში დამარცხდა

**იტალია-საქართველო 91:84**
**(25:19; 18:19; 23:28; 25:18)**

კაპიტნისა და ლიდერის, თორნიკე შენგელიას გარეშე გამართულ პირველივე მატჩში საქართველოს ნაკრებმა გუნდურობა და ბოლომდე ბრძოლის უნარი გამოაჩინა. მრისხანე მეტოქეს, რომელსაც ევრობასკეტის მოგების ამბიცია აქვს, ჩვენი ნაკრები პირთამდე სავსე დარბაზში ტოლსწორად ეთამაშა და რომ არა ბოლო წუთებზე დაშვებული შეცდომები, ასევე ის უიღბლობა, როცა თანაბარ ანგარიშზე, შეხვედრის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე თად მაკფადენმა რომ საკვანძო ბურთი აცილა, საქართველოს ნაკრები იტალიიდან გამარჯვებული დაბრუნდებოდა.

საქართველოს ნაკრებმა 2-ჯერ მოუწყო იტალიელებს 12:0 გაქცევა. პირველად 18:25 ჩამორჩენილებმა მეორე პერიოდის დასაწყისში მასპინძლები 30:25 ჩამოიტოვეს, ხოლო მეორედ, დიდ შესვენებაზე 5 ქულით მოლიდერე იტალიელებს სპურტი მოუწყვეს, რის შემდეგაც 50:43 დაწინაურდნენ.

ძირითადი კომპონენტი, რაშიც მეტოქემ გვაჯობა, საჯარიმოდან მოპოვებული ქულები გახლდათ. თამაშიდან შესრულებულ სროლებში, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქემ ჩვენზე 4-ით მეტი სამქულიანი (16-12) ჩააგდო, იტალიელებს ვაჯობეთ. საქართველოს ნაკრებმა 18 ორქულიანი და 12 სამიანი მიითვალა, მასპინძლებმა კი მხოლოდ 10 ორიანი და 16 სამიანი. რაც შეეხება საჯარიმოებს, იტალიელებმა ჩვენზე 9-ით მეტი ერთქულიანი მიითვალეს, რაც გახდა კიდეც შეხვედრის ბედის მთავარი განმსაზღვრელი.



ჩვენი ნაკრები მაშინაც კი არ ჩამოიშალა, როცა მეტოქე მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე 8 ქულით – 82:74 დაწინაურდა. გოგა ბითაძის ორქულიანს თად მაკფადენის 2 სამიანი მოჰყვა, დაცვაში ქართველებმა მეტოქეს ყველა შეტევა ჩაუშალეს და შეხვედრის დასრულებამდე 2 წუთით ადრე ანგარიში გათანაბრდა – 82:82.

სწორედ აქ გათამაშდა საკვანძო ეპიზოდი, როცა ჩვენების კარგი დაცვის გამო ჯამპაოლო რიჩიმ ბურთი აცილა, რომელიც მაკფადენმა მოიხელთა და შეტევის სამქულიანით დაგვირგვინება მოინდომა. ზედიზედ მე-3 სამიანი არ ჩავარდა, რასაც იტალიელთა სიმონე ფონტეკიოს სამქულიანი მოჰყვა. შეხვედრის დასრულებამდე 1 წუთით ადრე გოგა ბითაძე შეტევაში, პასის მიღებისას დააჯარიმეს, ხოლო სანდრო მამუკელაშვილს მსაჯებმა დაცვაში ჯარიმა მისცეს და მე-5 პერსონალურის გამო სათადარიგოთა სკამისკენ მიუთითეს. ნიკოლო მელიმ ორივე საჯარიმო ჩააგდო და მატჩის ბედი გადაწყვიტა. საბოლოოდ, 91:84 იტალიელთა სასარგებლოდ.

საქართველოს ნაკრებში საუკეთესო გოგა ბითაძე იყო 19 ქულით, 13 მოხსნით და 2 დაფარებით. თად მაკფადენმა 4 სამქულიანი ჩააგდო და გუნდს 16 ქულა მოუტანა. შერმადინის ანგარიშზე 12 ქულაა, დუდა სანაძის – 11. კარგი მატჩი ჰქონდა ვეტერან გიორგი ცინცაძეს 8 ქულა და 11 შედეგიანი გადაცემა. სიმონე ფონტეკიომ მასპინძლებს 21 ქულა მოუტანა, დანილო გალინარიმ 17, მარკო სპისუმ – 15.

ჩვენსავე ჯგუფში ესპანეთმა სტუმრად ნიდერლანდები გაანადგურა – 86:64, ხოლო ისლანდიამ შინ უკრაინა დამატებით დროში დაამარცხა – 91:88. ჩვენი მთავარი კონკურენტი სწორედ ისლანდიაა, რომელსაც მომავალ ფანჯარაში ვხვდებით: 11 ნოემბერს რეიკიავიკში ვითამაშებთ, ხოლო 14 ნოემბერს თბილისში იტალიას ვუმასპინძლებთ.

მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ილიას ზუროსმა და გიორგი ცინცაძემ ისაუბრეს.

**ილიას ზუროსი:**

– პირველ რიგში, ვულოცავ იტალიის ნაკრებს გამარჯვებას. ვამაყობ ჩვენი გუნდით, წავაგეთ, შეცდომები დავუშვით, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლეთ. ევრობასკეტის დაწყებამდე დღეებით წინ გუნდის კაპიტანი დავკარგეთ. ცუდია, რომ ტრავმები მოხშირდა, ახლა ამ თამაშში გალინარი დაშავდა. არც ისე კარგი იდეაა, ევრობასკეტის წინ ასეთი მნიშვნელოვანი თამაშების დანიშვნა.

ჩვენი მიზანი ევრობასკეტზე ბერლინის საგზურის მოპოვებაა. თუ ასე ვითამაშებთ, ევრობასკეტზე შანსი გვექნება. იტალიის ლიდერებმა გადამწყვეტ მომენტებში დიდებულად ითამაშეს. რაღაც დეტალები უნდა გამოვასწოროთ. მთელი ზაფხული სულ სხვანაირად ვითამაშეთ, ახლა კი გადავეწყვეთ. რატი გამოუცდელია, მაგრამ დიდი ტალანტი. თოკოს როლი უნიკალური იყო, ამიტომაც ბევრი რამის შეცვლა მოგვიწია.

თოკოს ძალიან უყვარს ეროვნული ნაკრები, წლებია მისთვის ბოლომდე იხარჯება. მისნაირი კალათბურთელი არც ისე ბევრია. რთულ სიტუაციაში ვართ, მაგრამ ჩემი კალათბურთელების მჯერა – რაც არ გკლავს, ის გაძლიერებს.

**გიორგი ცინცაძე:**

– ეს იყო რთული თამაში, პირველად ვითამაშეთ გუნდის ლიდერის და საუკეთესო მოთამაშის თოკო შენგელიას გარეშე. გუნდმა კარგად ითამაშა, წინ ოპტიმისტურად ვიხედებით. სამი წელიწადი ელის ქვეყანა ევრობასკეტს. გუნდი მზად არის და იბრძოლებს ბოლომდე – ევრობასკეტზე იოლი თამაშები არ იქნება, ჩვენი მიზანი ფლეი ოფია. დანილოს მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებ, ის დიდი კალათბურთელია.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 6 | 5 | 1 | 503-414 | 11 |
| 2.იტალი | 6 | 5 | 1 | 555-521 | 11 |
| 3.ისლანდია | 6 | 4 | 2 | 488-518 | 10 |
| 4.საქართველო | 6 | 3 | 3 | 458-484 | 9 |
| 5.უკრაინა | 6 | 1 | 5 | 489-507 | 7 |
| 6.ნიდერლანდები | 6 | 0 | 6 | 427-476 | 6 |

# დინამომ დინამოსთან სხვაობა შეამცირა

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ლაძე, კალანდარიშვილი, ქურდაძე, ბაშელეიშვილი, შ.ბურჯანაძე (დევდარიანი 68), ნიქაბაძე (ს.კუხიანიძე 46, ვერულიძე 79), ჯერალდო (სტრელნიკი 79)

**გაგრა:** ქავთარაძე, ხოსიტაშვილი, ნოზაძე, სეხნიაშვილი, შონია, სულთანიშვილი (ოურუ 78), ხაბელაშვილი (გვიშიანი 57), ბუხაიძე (მაქაცარია 57), ქობულაძე, შეწირული (ლომინაძე 57), ფარულავა (ლომთაძე 78)

წყალტუბოში სამგურალმა 2:2 ითამაშა გაგრასთან. მე-13 წუთისთვის სამგურალი 2:0-ს იგებდა... ჯეფერსონ ჯერალდომ და ილია ახვლედიანმა ერთმანეთის პასებით გაიტანეს.

მე-20 წუთზე გაგრას ნახევარმცველმა თეიმურაზ შონიამ თავურით შეამცირა სხვაობა, ხოლო 77-ე წუთზე შონიას პასით გიორგი გვიშიანმა გაათანაბრა.

ზაფხულის შესვენების მერე რაც ეროვნული ლიგა განახლდა, სამგურალმა 3 მატჩიდან 3-ვე ფრედ დაასრულა და მე-3 ადგილს ინარჩუნებს.

გაგრა კი ბოლოსწინა, მეცხრე ადგილზეა.

**თელავი-ტორპედო 1:1**

**თელავი. კავკასიონი არენა**

0:1 ქიმაძე (4), 1:1 მოტეირუ (55სკ)

**თელავი:** სანიკიძე, გიგაშვილი, ბერიაშვილი, ზ.თევზაძე, ც.კაპანაძე, ვიტინიო (გრძელი 86), ფაცაცია, ჯიქია, ქოჩლაძე (ბაჩიაშვილი 86), ბ.ქავთარაძე (პარკინაშვილი 66), ყაველაშვილი (კვერნაძე 60)

**ტორპედო:** კვასხვაძე, მჭედლიშვილი, გოგლიჩიძე, მონტეირო, შერგელაშვილი, მანჯგალაძე ცინცაძე 84), გიგაური, შულაია (არაბიძე 60), გ.კუხიანიძე (ვაჩიბერაძე 84), ქიმაძე (ბულრიძე 60), მჭედლიძე (თ.ახვლედიანი 60)

თელავმა ტორპედოს უმასპინძლა და 1:1 ითამაშა. ეს თელავის მე-10 ფრეა მიმდინარე ჩემპიონატში. აქედან ზედიზედ მე-4.

ტორპედო სწრაფი გოლით დაწინაურდა: გიორგი ქიმაძემ ზუსტად დაარტყა დაბალ შორეულ კუთხეში.

მასპინძლებმა 55-ე წუთზე გაათანაბრეს: ბექა ქავთარაძე პასს აკეთებდა და ქუთაისელთა პორტუგალიელმა ახალწვეულმა პედრო მონტეირომ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი – 1:1.

ტორპედომ მე-5 ადგილზე აინაცვლა, თელავი კი – მეშვიდეა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 23 | 16 | 6 | 1 | 60-17 | 54 |
| 2.დინამო (თბ) | 23 | 14 | 5 | 4 | 47-22 | 47 |
| 3.სამგურალი | 23 | 10 | 9 | 4 | 36-22 | 39 |
| 4.დილა | 23 | 10 | 4 | 9 | 25-24 | 34 |
| 5.ტორპედო | 23 | 9 | 4 | 10 | 29-38 | 31 |
| 6.საბურთალო | 23 | 8 | 6 | 9 | 32-31 | 30 |
| 7.თელავი | 23 | 6 | 10 | 7 | 24-20 | 28 |
| 8.სიონი | 23 | 6 | 7 | 10 | 25-40 | 25 |
| 9.გაგრა | 23 | 6 | 6 | 11 | 27-41 | 24 |
| 10.ლოკომოტივი | 23 | 1 | 1 | 21 | 18-68 | 4 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# შედეგები

## 27 აგვისტო

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

საუთჰემპტონი-მანჩესტერი ............0:1
ბრაიტონი-ლიდსი ............1:0
ბრენტფორი-ევერტონი ............1:1
ლივერპული-ბორნმუთი ............9:0
სიტი-კრ.პალასი ............4:2
ჩელსი-ლესტერი ............2:1
არსენალი-ფულემი ............2:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

სანდერლენდი-ნორვიჩი ............0:1
ბლექბერნი-სტოკი ............0:1
ბლექპული-ბრისტოლი ............3:3
კარდიფი-პრესტონი ............0:0
მიდლსბრო-სუონსი ............2:1
მილუოლი-რედინგი ............0:1
როტერჰემი-ბირმინგემი ............2:0
უიგანი-ბარნლი ............1:5
უოტფორდი-ქპრ ............2:3
ჰადერსფილდი-ვესტ ბრომვიჩი ............2:2
ჰალი-ქოვენთრი ............3:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰერტა-დორტმუნდი ............0:1
მაინცი-ლევერკუზენი ............0:3
ლაიფციგი-ვოლფსბურგი ............2:0
ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი ............1:0
შალკე-უნიონი ............1:6
ბაიერნი-გლადბახი ............1:1

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დარმშტადი-ჰაიდენჰაიმი ............2:2
კარლსრუე-ჰანზა ............2:0
ზ.პაული-პადერბორნი ............2:2
ნიურნბერგი-ჰამბურგი ............0:2

**ესპანეთი. პრიმეა დივიზიონი**

ელჩე-სოსიედადი ............0:1
რაიო-მალიორკა ............0:2
ალმერია-სევილია ............2:1

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხიხონი-ბურგოსი ............0:0
ლუგო-ლეგანესი ............1:0
მირანდესი-მალაგა ............1:3

ლევანტე-ტენერიფე ............2:0

**იტალია. სერია ა**

კრემონეზე-ტორინო ............1:2
იუვენტუსი-რომა ............1:1
მილანი-ბოლონია ............2:0
სპეცია-სასუოლო ............2:2

**იტალია. სერია ბ**

მოდენა-ტერნანა ............4:1
პალერმო-ასკოლი ............2:3
სპალი-კალიარი ............1:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ოსერი-სტრასბური ............1:0
ლანსი-რენი ............2:1

**საფრანგეთი. ლიგა 2**

ბორდო-გენგამი ............0:1
მეცი-დიჟონი ............1:2
ანსი-გრენობლი ............0:0
ვალანსიენი-სტ.ეტიენი ............2:2
ლე ავრი-ამიენი ............1:1
კევიი-პო ............2:1
ნიმი-ლავალი ............1:0
ბასტია-როდეზი ............0:2
სოშო-ნიორი ............3:0
პარიზი-კაენი ............1:1

**ნიდერლანდები. ეშედივიზიონი**

იგლზი-სპარტა ............0:1
ვიტესი-ვალვაიკი ............2:2
ფეინოორდი-ემენი ............4:0
ჰერენვენი-სიტარდი ............2:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მარიტიმუ-პორტიმონენშე ............0:1
ბოავიშტა-ბენფიკა ............0:3
სპორტინგი-შავიში ............0:2

**ბელგია. ა დივიზიონი**

სერენი-გენკი ............0:4
ლეუვენი-ოსტენდე ............2:1
სერკლი-ვარეგემი ............1:1
სტ.ტრუიდენი-მეხელენი ............3:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ლუშტენაუ-ზალცბურგი ............0:6
ჰარტბერგი-რიდი ............2:0
ლინცერი-ალტახი ............4:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-ლივინგსტონი ............5:0
კილმანროკი-მოზერველი ............2:1
რეინჯერსი-როსი ............4:0
სტ.მირენი-ჰიბერნიანი ............1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქარაგუმრუქი-ანკარაგიუჯიუ ............4:1
ადანა-უმრანი ............1:0
ალანია-ისთანბული ............0:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

იანინა-ლამია ............1:1
აეკი-ვოლოსი ............0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-სიონი ............2:0
სერვეტი-გრასჰოპერსი ............3:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ჩესკე-პლზენი ............0:1
პარდუბიცე-ბოლესლავი ............0:3
ტეპლიცე-ზლინი ............0:0
იაბლონეცი-ბანიკი ............1:1
სპარტა-ბოჰემიანსი 1905 ............1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

რადომიაკი-კორონა ............0:2
ლეგნიცა-ლეხია ............2:1
პოგონი-ზაგლებიე ............3:0
ვიძევი-პლოცკი ............2:1

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

მეზეკოვეშდი-ვაშაში ............1:1
კეჩკემეტი-ზალაეგერსეგი ............3:1
დებრეცენი-პუშ.აკადემია ............1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვორსკლა-ვერესი ............1:2
ლვოვი-ზორია ............2:3
მეტალისტი 1925-ჩერნომორეცი ............0:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰეკენი-ვერნამო ............4:1
დეგერფორსი-სუნდსვალი ............3:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ერვი-ბოდო ............0:2
სანდერფიორდი-სტრომგოდსეტი ............2:2

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნაწლავებს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. სიმღერის შესრულება აკომპანიმენტის გარეშე; 3. კალათბურთის გამომგონებელი ამერიკელი პედაგოგი; 4. ნიანგის ერთ-ერთი სახეობა; 5. ცალკე მცხოვრები ოჯახი სოფლად; 6. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 8. ტკბილეული, დესერტი; 11. ეთერზეთების შემცველი, ზოგიერთი მცენარის სურნელოვანი წვენი; 14. დაჟინებული, კატეგორიული მოთხოვნა; 15. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 16. ფასიანი ქაღალდი; 17. ბოშათა მომთაბარე ბანაკი; 19. ვირტუოზი იტალიელი მევიოლინე; 21. თაფლში მოხარშული ხორბალი; 22. არყის სასმელი პატარა ჭიქა.

**თარაზულად:** 1. მსხვილი, სურნელოვანი თეთრი ყვავილის მქონე დეკორატიული მცენარე; 5. კომბინაცია პოკერში; 7. მხდალი, მშიშარა ადამიანი; 9. აშშ-ის კონგრესის შენობა; 10. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 12. ფერმენტი, რომელიც შლის სახამებელს და ხელს უწყობს მის შაქრად გარდაქმნას ორგანიზმში; 13. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 16. თურქეთის ძველი სახელწოდება; 17. სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მოკლე მუსიკალური მისალმება; 18. სოკოების გამრავლების ორგანო; 20. მოკლელულიანი შაშხანა; 22. კასპიის ზღვის აუზის მდინარე საქართველოში; 23. ყველაზე დიდი ქალაქი სიცილიაში; 24. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 25. ზნეობრივი ხასიათის მოკლე, ალეგორიული მოთხრობა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გორი; 2. განგი; 3. ცვილი; 5. იანუსი; 6. ლაგოდეხი; 9. ენტომოლოგი; 10. რევოლუცია; 11. ზავენტემი; 14. უშუ; 16. გელათი; 18. ანსა.

**თარაზულად:** 1. გორგია; 4. შვიდეული; 7. ინტერი; 8. ლიეტუვა; 12. ატაშე; 13. ჟუდეცი; 15. ლონდრე; 17. ალი; 19. ალექსანდრია; 20. პიეტა; 21. შამონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კაზმი; 2. როვნო; 3. სუფრული; 4. ვალი; 5. ზაქი; 6. სტალინი; 9. დისიმულაცია; 10. პროვიზორი; 11. ბრუქსიზმი; 14. ხავსი; 16. კლიპი; 18. კეპლერი; 20. ლაგვანი; 23. რენო; 24. დაისი; 25. სარკე; 26. ჟიგა.

**თარაზულად:** 7. ლუფტჰანზა; 8. ევკალიპტი; 12. კუპრი; 13. ორგია; 15. რკინა; 17. ვანკუვერი; 19. დრამი; 21. ოპერა; 22. ომეგა; 27. პრევენცია; 28. დრაგომანი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


29 აგვისტო

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.8608

ევრო — 2.8648

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3860

100 რუსული რუბლი — 4.7421

**ამინდის პროგნოზი 29 აგვისტოსათვის**




## კლოპი: „ბორმუტთან შესანიშნავად ვითამაშეთ“



ლივერპულმა ინგლისის ჩემპიონატის მესამე ტურში საკუთარ მოედანზე ბორმუტი მიიღო და 9:0 დაამარცხა. მატჩის შემდეგ იურგენ კლოპი თავისი ფეხბურთელებით კმაყოფილებას ვერ დამალა და თქვა, რომ მათ შესანიშნავი მატჩი ჩაატარეს: „ჩვენ ყველა ჩვენი კარგი თვისება ვაჩვენეთ და ბორმუტმა ვერაფერი დაგვიპირისპირა. ლივერპულს წინ ბევრი მატჩი აქვს და ასეთი თამაშის ჩვენება უნდა გავაგრძელოთ“.

## ჰოლანდმა ინგლისში პირველი ჰეთრიქი შეასრულა



მანჩესტერ სიტის ფორვარდმა ერლინ ჰოლანდმა პრემიერ ლიგაში პირველი ჰეთრიქი შეასრულა და მან ეს კრისტალ პალასის წინააღმდეგ გააკეთა, რომელიც სიტიმ 3:2 დაამარცხა. ჰოლანდმა მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ის თავისი მიღწევით ბედნიერია, მაგრამ მისთვის მთავარი გუნდის შედეგია. ჰოლანდმა ასევე აღნიშნა, რომ ის სიტისთვის მოედანზე ყველაფერს გააკეთებს.

## მასიმო მორატიმ კვარაცხელია შეაქო



ხვიჩა კვარაცხელიაზე უკვე მთელი იტალია ლაპარაკობს და თავისი აზრი ინტერის ყოფილმა პრეზიდენტმა მასიმო მორატიმაც გამოთქვა, რომლის აზრით, კვარაცხელია იტალიაში ერთ-ერთი საუკეთესო ლეგიონერია: „ხვიჩას თამაშის ცქერა დიდ სიამოვნებას მანიჭებს და ის ძალიან ნიჭიერია. იმედი მაქვს, რომ მას კიდევ ხშირად ვიხილავთ მოედანზე და ის ნაპოლისთან ერთად წარმატებას მიაღწევს“.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ზინა კვერენჩხილაძე 90 წლის გახდებოდა



ქართული თეატრისა და კინოს მსახიობი ზინა კვერენჩხილაძე 90 წლის გახდებოდა. მისი საიუბილეო თარიღი მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში, მსახიობის საფლავთან ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის წევრებმა აღნიშნეს. დასის მეთაურის, პროფესორ გოგი დოლიძის ინიციატივით, ყვავილებით შეიმკო ზინა კვერენჩხილაძის საფლავი.

ბოლო 11 წელია ჩოხოსან რაინდთა დასი ყოველწლიურად აღნიშნავს მსახიობის დაბადების დღეს.

**გოგი დოლიძე, პროფესორი:**

– წლევანდელი დაბადების დღე იმით იყო განსაკუთრებული, რომ ქალბატონ ზინას 90 წელი შეუსრულდებოდა, ამიტომაც შევიკრიბეთ მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში უახლოესი მეგობრები, თაყვანისმცემლები თუ მოსწავლეები მის საფლავთან და ყვავილებით ავავსეთ ჩვენი ძვირფასი მეგობრის, კოლეგისა და პედაგოგის საუკუნო განსასვენებელი. ყველას გვეამაყებოდა, რომ ვართ ზინა კვერენჩხილაძის თანამედროვენი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



29 აგვისტოსათვის

**ვერძი** – კოსმოსი ენერგიით გაძლიერებთ. ნებისმიერ საქმეს გაუმკლავდებით. **კურო** – ინტუიციას მიენდეთ. ჯანსაღი საკვები მიიღეთ. წვრილმანებზე ენერგიას ნუ დახარჯავთ. **ტყუპები** – ნებისყოფა მოიკრიბეთ. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. მოაწესრიგეთ ბინა. **კირჩხიბი** – საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა იდეალური არ არის. ამიტომ ემოციები მოთოკეთ და სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **ლომი** – ყურადღება არ მოადუნოთ. ფინანსები აკონტროლეთ. ავანტიურაში ნუ ჩაერთვებით. **ქალწული** – იფრთხილეთ. ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. **სასწორი** – კომპრომისზე წასვლა დღეს სავალდებულოა. დღის მეორე ნახევარში აქტიურობა არასასურველია. **მორიელი** – წინააღმდეგობრივი დღეა. სამსახურში წარმატება იმაზეა დამოკიდებული, რამდენად რისკიან ნაბიჯებს გადადგამთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ მარტო დარჩენას. საოჯახო საქმეების მოგვარება და გადაღლა სასურველი არ არის. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. დიდი ყურადღება და წინდახედულობა გმართებთ. **მერწყული** – ბიუჯეტი გულმოდგინედ აკონტროლეთ. ზომიერად დაკავდით სპორტით. **თევზები** – მიღწეულით ნუ დაკმაყოფილდებით. სასურველი შედეგის მისაღებად დიდი შრომა დაგჭირდებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ქალის და კაცის თანაცხოვრების პირველი წელი:

– ქმარი ლაპარაკობს, ცოლი უსმენს.

მეორე წელი:

– ცოლი ლაპარაკობს, ქმარი უსმენს.

შემდეგ კი:

– ორივე ლაპარაკობს, მეზობლები უსმენენ...

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ისეთი მამაკაცი მინდა ვნახო, რომელიც მხოლოდ მე მიყურებს და სხვას არავის!

– პარალიზებული?

•••

ხალხით სავსე ავტობუსში ასულ მამაკაცს ხელში კვერცხებით სავსე პარკი უჭირავს. სკამზე მჯდომი გოგონა ეუბნება:

– მომეცით, კვერცხებს მაინც დაგიჭერთ!

– არა, გმადლობ, შეღუტუნების მეშინია.

•••

ფსიქიატრიულის დერეფანში ორი ავადმყოფი ზის. მათ გვერდით მედდამ ჩაუარა და კარის გაღება სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. ერთ-ერთი ავადმყოფი ეუბნება:

– უფრო მაგრად მოქაჩე.

მედდა უფრო მაგრად დაეჯაჯგურა კარს, მაგრამ მაინც ვერ გააღო და ჩაილაპარაკა:

– ალბათ დაკეტილია.

– არა, – უპასუხა ერთ-ერთმა, – უბრალოდ, მეორე მხარეს იღება. ჩვენ კი ვიფიქრეთ, რომ სახელურის მოხსნა გინდოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ქეთა თოფურია ქმართან ერთად კახეთში ისვენებს



ჯგუფ „ა სტუდიოს“ სოლისტი ქეთა თოფურია საქართველოში იმყოფება. იგი ქმართან, ლევ დენგოვთან ერთად კახეთში ისვენებს.

ქეთასა და მისი მეუღლის საქართველოში ჩამოსვლას ქართველი საზოგადოების ნაწილი დადებითად შეხვდა, ნაწილმა კი მათ სამარცხვინოები უწოდა და საქართველოში წყვილის შემოშვება გააპროტესტა.

## სტეფანე მღებრიშვილი კონცერტზე უშუქოდ დატოვეს



მომღერალ სტეფანე მღებრიშვილის დაგეგმილი კონცერტი უშუქობის გამო ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო:

– პრორუსების შემოსევის გარდა, კონცერტი მქონდა ღამე, უცებ, სცენაზე რომ უნდა გავსულიყავი, ჩაქრა შუქი მხოლოდ ჩვენთან კლუბში. საათზე მეტი არ იყო და სრულიად გადატენილი სივრცე არ დაიშალა. ეს არის სიყვარული ნამდვილად და ვეცდები, ყოველთვის გავამართლო იმედები.

ისე ვინერვიულე, რომ არ მოდიოდა შუქი, სცენაზე ფეხების კანკალით ავედი და ორჯერ გული მიმდიოდა, რადგან კონცერტი ღამის სამ საათზე დაიწყო.

კიდევ ერთხელ უდიდესი მადლობა სათითაოდ ყველას!

## ანსამბლ „ძირიანის“ მომღერალი ავტოკატასტროფაში დაიღუპა

ანსამბლ „ძირიანის“ წევრი ნიკა გაგნიძე ავტოკატასტროფას ემსხვერპლა. მასთან ერთად გარდაიცვალა მისი ძმა – თორნიკე გაგნიძეც. საზარელი შემთხვევა ზემო რაჭაში მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, ავტომობილი ხევში გადავარდა.

ავტომანქანაში გარდაცვლილი ძმების ბიძაშვილიც იჯდა, რომელიც მძიმედ დაშავდა. ნიკა გაგნიძეს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

სამწუხარო ინფორმაცია ანსამბლმა „ბასიანი“ გაავრცელა:

– ძალიან ვწუხვართ ანსამბლ „ძირიანის“ წევრის ნიკა გაგნიძისა და მისი ძმის, თორნიკე გაგნიძის გარდაცვალების გამო. ვუსამძიმრებთ ოჯახს, ახლობლებს და ანსამბლს.

თავზარდამცემი ამბავია, რამაც ყველა შეგვძრა. ღმერთმა აცხონოს, ბიჭებო, თქვენი სული.

## ბორჯომის კომპოზიტორთა სახლი გაპარტახებულია



ბორჯომში მდებარე კომპოზიტორთა სახლი განადგურებულია. მუსფონდის მიერ გასული საუკუნის 80-იან წლებში აშენებული შენობა გაპარტახებულია. განადგურებულია მუსიკალური ინსტრუმენტი, ავეჯი – ყველანაირი ინვენტარი.

ფოტოები და ინფორმაცია სოციალურ ქსელში კომპოზიტორმა არჩილ გიორგობიანმა გაავრცელა:

– ბორჯომის კომპოზიტორთა სახლი 2022 წელი. 2006 წელს წართმეული მთავრობის მიერ. მას შემდეგ არაერთი წერილი და გასაჩივრება მოხდა, მაგრამ დღემდე არაფერი და ფაქტიც სახეზეა.

## ირაკლი ქვანია: „გაწმინდეთ თბილისის ქანდაკებები!“



მოქანდაკე ირაკლი ქვანია თბილისის მერიას მიმართავს და დედაქალაქში არსებული ქანდაკებების გაწმენდას მოითხოვს:

– 10 წელიწადია მოგიწოდებთ, რომ თბილისის ქანდაკებები გაიწმინდოს და მოვლილი სახე ჰქონდეთ. 30 წელია არ გარეცხილა და არ გასუფთავებულა არც ერთი. დგანან გაშავებული აღმაშენებელი, გალაკტიონი, ვაჟა, შოთა, ტატო, გურამიშვილი, ილია და სხვები და სხვები, დაგვცქერიან გაშავებული სახეებით.

არ გაინტერესებთ ეგ ამბავი. გვქონდა ამაზე საუბარი მერიაში, არანაირი შედეგი. იმის მაგივრად, რომ ეს საკითხი ერთობლივად გადაგვეწყვიტა, ზედმეტი აქტიურობისთვის შარშან სასამართლოში მიჩივლეთ, საკუთარი ქანდაკებები რატომ გაგიშავდა და გაწმენდილი რატომ არ არისო.

140 ქანდაკებას მაინც გადახედეთ თბილისში, ყველა რომ გამუქებულია, იმიტომ, რომ მათ წმენდა ესაჭიროებათ, რასაც ამდენი ხანია გთხოვდით და აქეთ მოგვიტრიალდა.

სასამართლოში სირბილის მაგივრად, ვისაც ეს ევალება, ქიმიის წიგნი რომ გადაეშალა, წაიკითხავდა, რომ ფერადი ლითონი შავდება, ავიდოდა კიბით და ჯაგრისს გადაუსვამდა იმ მუსიკოსებს, სხვა ქანდაკებებსაც თბილისში. წიგნიც არ უნდა მაგას, ელემენტარულად ტვინის განძრევაც საკმარისია. ამაში გიხდით ჩვენ ფულს ბიუჯეტში და არა ჩვენ წინააღმდეგ სასამართლოში სირბილში.

მოკლედ, „აღდგა სამართლიანობა“ და მე, როგორც ჩემივე ნახელავის გამფუჭებელი, დავჯარიმდი 2000 ლარით – უნიკალური ფაქტია, ავტორი რომ მისივე ნახელავს აზიანებს თურმე. აღარ არიან ამქვეყნად ბერძენიშვილი და ამაშუკელი, თორემ მათაც დააჯარიმებდნენ ალბათ ჭუჭყისგან ქანდაკებების გამუქების გამო.

კარგი, ვიფიქრე, შეგარგოთ ეგ თანხა, ახლა მაინც იყიდიან ამ თანხით ჯაგრისს, საწმენდ ფხვნილს და ღრუბელს და გახეხავენ იმ ორკესტრს. არაფერი მაგგვარი. აქაც ჩემი ბრალია ეტყობა, იმ თანხაში არ შედიოდა საწმენდი აქსესუარები. ამიტომ მინდა, კიდევ უფრო მეტად დავჯარიმდე, როგორც დამნაშავე და ჩემ მიერ მერიის ბიუჯეტში გადახდილ 2000 ლარს დავუმატო 37 ლარი ჩემი ბიუჯეტიდან და მოგაწოდოთ სარეცხი ფხვნილი, ჯაგრისი და ღრუბელი.

ოღონდ გაწმინდეთ!

მრგვალ ბაღში გაშავებული ქანდაკების გაწმენდის უმარტივეს საკითხსაც თუ გადაწყვეტთ – ალბათ მანდაც მიჩივლებთ, რატომ გაშავდა, აქაც ვალდებულებას ვიღებ, მოგაწოდოთ ჯაგრისები, ღრუბლები და ფხვნილები. ოღონდ გაწმინდეთ!

ისევ სასამართლოში ნუ გააქცევთ კაცებს, ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბს თხრიდაო ბრალდებით, უბრალოდ, მიადგით კიბე და გაწმინდეთ თბილისის ქანდაკებები.

გაწმინდეთ!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ტოკიოს კომერციულ-ადმინისტრაციული ცენტრი; 2. ტბა დუშეთის რაიონში; 3. კომპიუტერული მიკროსქემებისა და პროცესორების მწარმოებელი, მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია; 4. „ლივერპულის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 5. მდინარე აშშ-ში; 8. თვალის რქოვანა გარსის ანთება; 12. იაპონური ჭიდაობა; 13. ბგერის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 14. საბუთების, დოკუმენტების საცავი; 16. ფრანგული თოჯინური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 18. დაბალი ხარისხის ალმასი; 20. ქართული ლუდი.

**თარაზულად:** 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 8. მონასტრის მეურნეობის მმართველი; 9. აეროპორტი პარიზში; 10. კალათბურთის გამომგონებელი ამერიკელი პედაგოგი; 11. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 15. შუშხუნა ღვინოების დასაყენებლად გამოყენებული, სპეციალური ჰერმეტული რეზერვუარი; 17. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი; 19. ესპანელი მხატვარი; 21. ჩანჩქერი კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 22. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრიწყაროს რაიონში; 23. ქართული მხატვრული ფილმის „დაკარგული სამოთხე“ რეჟისორი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

